# აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკეობით

№103 (25.127) 22 დეკემბერი, 2023 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 12-17, მთიან რაიონებში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 13 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მთაში - თოვა.

# „ციტრუსის სეზონი აქტიურად მიმდინარეობს“

*აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ შამუგიასთან და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან ერთად ციტრუსის სეზონის მიმდინარეობას გაეცნო*



ხელისუფლების წარმომადგენლები ქობულეთის მუნიციპალიტეტში ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოს შპს „ავე ვაინ ჯორჯიას“ ეწვივნენ და ციტრუსის მიღების პროცესს ადგილზე გაეცნენ. საწარმო 24 საათის განმავლობაში შეძლებს 250 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფის მიღება-დახარისხებას და პარაფინირებას. აქ ციტრუსის შეფუთვა ხდება ევროსტანდარტების მიხედვით პალეტებად შეკრულ 14-კილოგრამიანი ტევადობის პლასტმასის ყუთებში. მიმდინარე წელს საწარმო გეგმავს 4000 ტონამდე სტანდარტული ციტრუსის მიღებას და ექსპორტირებას. საწარმოში 150-მდე ადამიანია დასაქმებული.

სტუმრებმა დაათვალიერეს არასტანდარტული ციტრუსის საკონსერვო ქარხანა შპს „Georgian industrial Asset Management Group“-ი, რომელმაც ნედლეულის მიღება 4 დეკემბრიდან დაიწყო. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, სამრეწველო გადამუშავების (არასტანდარტულ) მანდარინზე გასულ წელთან შედარებით 10 თეთრით გაიზარდა და 1 კგ-ზე 25-თეთრიანი სახელმწიფო სუბსიდიაა, 5 თეთრს გადაიხდის საწარმო. შესაბამისად, საწარმოო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის ფასი 30 თეთრია.

ნარინჯისფერი რთველის ორგანიზებულად ჩატარებისთვის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რეგიონში ციტრუსის რეალიზაციის საკოორდინაციო შტაბი აამოქმედა, რომლის ძირითადი მიზანი მანდარინის ჩაბარების პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის უზრუნველყოფაა.

წელს, საპროგნოზო მონაცემებით, 55 ათას ტონამდე ციტრუსს ელოდებიან. სეზონზე საექსპორტო მანდარინს 20-ზე მეტი ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმო იღებს.

დღეის მდგომარეობით, უკვე ექსპორტირებულია 26 675 ტონა სტანდარტული მანდარინი, ხოლო მიღებული და გადამუშავებულია 4,760 ტონა - არასტანდარტული.

როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ განაცხადა: „აქტიურად მიმდინარეობს ციტრუსის სეზონი. მოქმედებს მიმღებ-დამხარისხებელი პუნქტები, ასევე, გადამამუშავებელი საწარმო. უკვე ექსპორტირებულია რეკორდული რაოდენობა, დაახლოებით, 27 ათასი ტონა და ყველამ ჩვენი საერთო ძალისხმევით უნდა შევძლოთ, რომ არ დარჩეს რეალიზაციის გარეშე არცერთი კილოგრამი დაკრეფილი მანდარინი. წელს მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გაზრდილიყო და პრაქტიკულად, გავაორმაგეთ სუბსიდია არასტანდარტულ მანდარინზე. შესაბამისად, თითოეულ ფერმერს ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს ამ გაზრდილი სუბსიდიის ფარგლებში.“

# 2023 წლის საშემოდგომო სესია პლენარული სხდომით დაიხურა


**ნანა აბულაძე 577 20 35 90**


აჭარის საკანონმდებლო ორგანოში საშემოდგომო სესია პლენარული სხდომით დაიხურა. დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკანონმდებლო პაკეტი განიხილეს, თუმცა სანამ სხდომა დაიწყებოდა, დარბაზში გაჟღერდა ევროკავშირის ჰიმნი, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ კი კოლეგებს, მთელ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება მიულოცა და აღნიშნა, რომ ქვეყანას წინ მნიშვნელოვანი გზა აქვს გასავლელი იმისათვის, რომ ოფიციალურად დაბრუნდეს ევროპულ ოჯახში, სადაც სრულფასოვნად ყოფნას ის თავისი ისტორიითა და ღირებულებებით ნამდვილად იმსახურებს:

- პირველი სხდომაა ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, ისტორიული გადაწყვეტილების მიღებიდან. ქართველი ხალხისა და ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, მივიღეთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. ვულოცავ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას და მხარდაჭერისათვის მადლობას ვუხდი ყველა პარტნიორ ორგანიზაციას. ამ ისტორიული გადაწყვეტილების მიღების დღიდან, ვგრძნობ, თითოეული ჩვენგანი, როგორც ჩვენი ქვეყანა, გადავდივართ ახალ ეტაპზე, რომლის მიზანიც ევროკავშირის სრულყოფილი წევრობაა, რაც, ბუნებრივია, უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ეს პასუხისმგებლობა, ჩემი აზრით, იწყება იმით, რომ მოვისმინოთ ერთმანეთის, გვქონდეს ერთმანეთის აზრის პატივისცემა. ასევე, უნდა გავაგრძელოთ სხვა ევროპული ღირებულებების პატივისცემა. დასაკარგი დრო ნამდვილად არ გვაქვს, ჩვენი საკეთებლის კეთება აქედან უნდა დავიწყოთ, აქვე, ახლავე, ამ დარბაზში, ამ სხდომაზე და ეს სხდომა უნდა იყოს ჩვენი წილი მესიჯი, შეტყობინება ევროპული საზოგადოებისათვის, რომ მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური პლატფორმისა, სხვადასხვა დღის წესრიგისა, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაში ყოფნისა, არსებობს ჩვენი საერთო დღის წესრიგი. ეს არის ევროკავშირის სრულყოფილი წევრობა და ამისათვის ზემოთ ხსენებულ ჩვენს წილ პასუხისმგებლობას არათუ ვგრძნობთ, არამედ ჩვენი საქციელით და საქმითაც გამოვხატავთ კიდეც, - ასე მიმართა დეპუტატებს და დარბაზში დამსწრე საზოგადოებას დავით გაბაიძემ.



დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ქართველ ხალხს ასევე მიულოცეს და პოლიტიკური განცხადებები გააკეთეს ოპოზიციური პარტიის დეპუტატებმა. მათი თქმით, ხალხთან ერთად მთავრობას აიძულებენ გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი, რომელიც იმის საწინდარი იქნება, რომ ჩვენმა ქვეყანამ, საზოგადოებამ მიიღოს ყველა ის სიკეთე, რასაც მოიტანს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება:

- მინდა მივულოცო ჩვენს მოქალაქეებს კანდიდატის სტატუსის მიღება, მივულოცო ჩვენი გმირების ოჯახებს, რომელთა თავდადებამაც მოგვიყვანა დღემდე. მადლობა უკრაინელ ხალხს, რომელთა ბრძოლამაც გააჩინა შესაძლებლობა, მიგვეღო სტატუსი, მადლობა ჩვენს მეგობრებსა და პარტნიორებს, რომლებიც მხარს გვიჭერენ ამ რთულ გზაზე. ყველას გვინდოდა, შეგესრულებინათ 12-პუნქტიანი რეკომენდაცია, მაგრამ სანაცვლოდ შემოგვთავაზეთ რუსული კანონი, სანქცირებული პროკურორი და მოსამართლეები. კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგაც არ შეცვლილხართ, ისიც ვერ შეძელით, ევროპულად აღგენიშნათ ეს დიდი წარმატება. ევროპელობა იქნებოდა, მიხეილ სააკაშვილი, გიორგი მარგველაშვილი და სალომე ზურაბიშვილი ერთად რომ მდგარიყვნენ სცენაზე, მაგრამ პუტინის ტყვეობაში გყავთ მიხეილ სააკაშვილი, გიორგი მარგველაშვილი არ მიიწვიეთ, ხოლო სალომე ზურაბიშვილს არ მიეცით სიტყვით გამოსვლის საშუალება. სანამ თქვენ იდგებოდით რუსთაველის ქუჩაზე, მანამდე იქ იდგა ქართველი ხალხი, მათ შორის ლაზარე გრიგორიადისი, რომელიც აპროტესტებდა რუსულ კანონს. თქვენ დღეს ის ტყვეობაში გყავთ, თქვენ მას წაართვით თავისუფლებაც და ზეიმის უფლებაც. სწორედ ის და აქციაზე მდგომი ხალხი იმსახურებდა მადლობასაც და აღნიშვნასაც. ჰოდა, მეგობრებო, ეს არ არის ევროპელობა. მიუხედავად ამ ყველაფრისა მე მაინც გილოცავთ თქვენც, არა იმიტომ, რომ ეს დაიმსახურეთ, არამედ იმიტომ, რომ საქართველოს მოქალაქეები ხართ. მოგიწოდებთ, ახლა მაინც გადადგათ 9 ნაბიჯი ევროპისაკენ, სხვა შემთხვევაში ქართველი ხალხი გადავდგამთ ერთად ამ ნაბიჯებს თქვენს გარეშე. თქვენ ვერ წაგვართმევთ ქართველ ხალხს ევროპელობას, ვერც მიხეილ სააკაშვილს წაართმევთ ევროპელობას და ვერც ლაზარე გრიგორიადისს, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა გია აბულაძემ.

სიტყვით გამომსვლელების შემდეგ სხდომა დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკანონმდებლო პაკეტის განხილვას დაეთმო, რომელიც თავის თავში 4 კანონპროექტს მოიცავდა. აღნიშნული საკითხები სხდომაზე საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლადო მგალობლიშვილმა წარადგინა. კანონმდებლებმა გამარტივებული წესით განიხილეს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტსა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები. წარმოდგენილი პროექტების თანახმად, აჭარის უმაღლესი საბჭო ღია კენჭისყრით აირჩევს თავმჯდომარისა და მოადგილის გარდა, სხვა თანამდებობის


იხ. მე-7 გვ.



ISSN 2720-8702



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

აჭარა 102



# ბათუმის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცება და პროტესტი სხდომაზე დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო...

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

***19 დეკემბერს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა, რომელზეც, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენამდე, ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა საზოგადოებას საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება მიულოცა - დარბაზში განთავსებულ ეკრანზე რუსეთის რუკა გამოჩნდა, რომელსაც ევროკავშირის დროშა ფარავდა***



ფაქტს საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატების პროტესტი მოჰყვა. „ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა სხდომა დატოვეს და განაცხადეს, რომ „ქართულმა ოცნებამ" მორიგი სპექტაკლი დადგა და საზოგადოებას კანდიდატის სტატუსი რუსეთის რუკით მიულოცა.

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მოვითხოვთ, პასუხისმგებლობა აიღოს ქალაქის მერმა იმ ყველაფერზე, რაც აკადრა ამ ქალაქს. კორუფციის დანაშაულის გარდა, დანაშაულია, როდესაც რუსეთის რუკას გამოფენ ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტის მიღების დროს, შენი ანგარიშის დროს და ევროკავშირის ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას გვილოცავ. მოვითხოვთ, გადადგეს ბათუმის მერი, აიღოს პასუხისმგებლობა და დატოვოს თანამდებობა. ჩვენ არ გვჭირდება მერი, რომელმაც არ იცის ქვეყნის ისტორია, არ იცის სად არის ევროკავშირი და სად არის რუსეთი. დღევანდელი ფაქტი არის მიზანმიმართული ქმედება, - აღნიშნა ბათუმის საკრებულოს წევრმა „ნაციონალური მოძრაობიდან" რეზო ხარაზმა.

პარტია „ლელოს" წევრ ვაჟა დარჩიას განცხადებით, ის, რაც სხდომაზე მოხდა, შეურაცხმყოფელია.

- კანდიდატის სტატუსის მილოცვისას რუსეთის რუკაზე დაიტანეს ევროკავშირის დროშა. ეს ტექნიკური შეცდომაა, შინაარსობრივი გადაცდომა, თუ რა, არ ვიცი, მაგრამ ძალიან დიდი შეცდომაა და ერთგვარი უპასუხისმგებლობა, შეურაცხყოფა ბათუმელების", - აღნიშნა მან.

რუსეთის რუკის მონიტორზე გამოჩენასთან დაკავშირებით, ბათუმის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა თეკლა ჩიჩუამ განმარტება გააკეთა. „შინაარსობრივ ნაწილზე, სამწუხაროდ, მე ვიმუშავე, ამისთვის ბოდიშს ვიხდი. მე ვარ ის ადამიანი, რომელმაც 10 წელზე მეტი იცხოვრა ევროპაში, შვილები გავზარდე ევროპაში და განათლებაც ევროპაში მივიღე. ვიზიარებ ევროპულ ღირებულებებს და ფასეულობებს, დამსწრე საზოგადოებას ბოდიშს ვუხდი", - თქვა თეკლა ჩიჩუამ.

მოგვიანებით არჩილ ჩიქოვანმა ბოდიში მოიხადა მომხდარის გამო და შეცდომა ტექნიკურ გუნდს დაუკავშირა.

„ბუნებრივია, არ იყო სასიამოვნო, რაც ყველა ჩვენგანმა დავინახეთ ვიზუალიზაციის ნაწილში, თუმცაღა, რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტის ყველა თანამშრომელზე მეც მაქვს ჩემი წილი პასუხისმგებლობა და მინდა საზოგადოებას, მედიასაშუალებებს, კოლეგებო, თქვენც, ვინც ეს შეცდომა იხილა, ბოდიში მოგიხადოთ. როდესაც არანორმირებულად გვიწევს შრომა და მუშაობა, ეს არ ამართლებს ამ შეცდომას და ამ ფაქტს, მაგრამ სამწუხაროდ, ხდება შეცდომები და კიდევ ერთხელ საზოგადოებას ვუხდი ბოდიშს", - აღნიშნა ქალაქის მერმა.

ბათუმის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა. მისი მოცულობა 382 მილიონი ლარია, პრიორიტეტები კი თითქმის უცვლელია. ესენია ჯანდაცვა და სოციალური მიმართულებები, რომელთა სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას გეგმავს მერია. ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირა ოპოზიციის ნაწილმა.

მომავალი წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი 100 მილიონი ლარითაა გაზრდილი. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 168 მილიონ 341 ათას 300 ლარია გათვალისწინებული. სხვა სფეროები არ გადანაწილდა.

ეკოლოგია-რეკრეაცია - 48 მილიონ 360 ათას 200 ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 27 მილიონ 264 ათას 600 ლარი;

განათლება - 43 მილიონ 495 ათას 600 ლარი;

კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა - 25 მილიონ 502 ათას 600 ლარი.

2024 წელს ბათუმში 19 ქუჩის, ჩიხისა და მონაკვეთის რეაბილიტაცია განხორციელდება. რეკრეაციული სივრცე მოეწყობა 20 მისამართზე.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა კულტურული მემკვიდრეობის 3 ძეგლს.

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები განხორციელდება 245 მისამართზე - პროექტი მრავალწლიანია, აშენდება 9 ხიდი და ხიდბოგირი. შემოერთებულ ტერიტორიებზე დაიწყება წყლისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა. გაგრძელდება საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, კერძოდ: ხელმისაწვდომი საცხოვრისი, ე.წ. იაფი სახლი; სოციალური სახლი, ე.წ. შანხაის დასახლებაში; 26 მაისის ქ. №13-ში - საცხოვრებელი სახლი; „ავარიული სახლების" პროგრამა; აშენდება სამი ახალი საბავშვო ბაღი.

სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარებისთვის 30 მილიონ 219 ათას 500 ლარი დაიხარჯება. შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისათვის" მუნიციპალური მიკროავტობუსებისა და ავტობუსების შესყიდვა განხორციელდება - 100 ერთეული მიკროავტობუსი და 25 მუნიციპალური ავტობუსი.

პროგრამა „მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელის" ფარგლებში მოეწყობა და ამოქმედდება ახალი ინტერაქციული სივრცე, რისთვისაც გათვალისწინებულია გრანტი - 403000,0 ლარი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებს 4 მნიშვნელოვანი ღონისძიება დაემატა.

# ბათუმში ახალი სკვერის მშენებლობა დაიწყო

ბათუმში კიდევ ერთი ახალი სკვერის მშენებლობა დაიწყო. სამების პირველ ჩიხში მიმდინარე სამუშაოებს ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე აროშიძესთან ერთად გაეცნო. ინფორმაციას ბათუმის მერია ავრცელებს.

არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის თხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია და ტერიტორიაზე, რომელიც წლების განმავლობაში მოუწესრიგებელი იყო, ახალი სკვერი მოეწყობა.

„განვაგრძობთ მოსახლეობასთან შეხვედრებს. დღეს სამების ჩიხის მცხოვრებლებს შევხვდით და მათ 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული პროექტები და პროგრამები გავაცანით. აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ჩვენ რამდენიმე თვის წინ გვქონდა შეხვედრა, რომელზეც გავეცით დაპირება ახალი სკვერის მშენებლობასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე სკვერის მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს და, რაც მთავარია, მოსახლეობის თხოვნა სრულად დაკმაყოფილდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ წელს 13 სკვერის მშენებლობა-რეაბილიტაცია ხორციელდება. რა თქმა უნდა, მწვანე სივრცეებისა და რეკრეაციული ზონების მოწყობას კვლავაც აქტიურად განვაგრძობთ და მომდევნო წელს 20 სკვერის რეაბილიტაციას დავიწყებთ", - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

## ქრონიკა

ძველი ბულვარის ცენტრალური შადრევნების ირგვლივ აუდიოსისტემა განახლდა. ბათუმის მერიის ინფორმაციით: „პროექტის ფარგლებში, გარე სივრცე სრულად აღიჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პრემიუმ კლასის გარე გამოყენების „JBL"-ის დინამიკებით, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუსიკალური მოცეკვავე შადრევნების ჟღერადობა. ასევე, დაემატა დისტანციური მართვისა და სამაგიდო მიკროფონის ფუნქცია, რაც შესაძლებლობას იძლევა, ციფრული სქემის მეშვეობით გარკვეული მანძილიდან მოხდეს შადრევნის მუსიკალური რეპერტუარის რეგულირება და მართვა. აუდიოსისტემის ინსტალაცია-მონტაჟის სამუშაოები შპს „MIFASI"-მ აწარმოა.

* * *

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა წინასაახალწლო პერიოდში წიწვოვანი ხეების უკანონოდ მოპოვებაზე, ტრანსპორტირებასა და რეალიზაციაზე კონტროლი გაამკაცრა. დეპარტამენტის თანამშრომლებმა აჭარასა და შიდა ქართლში წიწვოვანი ხე-მცენარეების უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტები გამოავლინეს. დეპარტამენტის ინფორმაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეში მოქალაქემ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე უკანონოდ მოიპოვა სოჭის სახეობის ხის ტოტები. დეპარტამენტის აჭარისა და გურიის, ასევე, შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოების თანამშრომლებმა უკანონოდ მოპოვებული ხე-მცენარეები და ტოტები დალუქეს. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოუწოდებს მოსახლეობას, წინასაახალწლოდ წიწვოვანი ხე-მცენარეები მოიპოვონ მხოლოდ კანონის ფარგლებში - სანერგეებში, პლანტაციებში, საკარმიდამო ნაკვეთებში, ან შეიძინონ იმპორტირებული ნაძვის ხეები.

* * *

აჭარაში წყლის და წყალარინების თანამედროვე სისტემის პროექტის სამშენებლო სამუშაოები იწყება. მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის ღირებულება დაახლოებით 100 მლნ ევროს შეადგენს. ისტორიული პროექტის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულებას ხელი ოფიციალურად მოეწერა. ინფორმაციას ამის შესახებ „აჭარის წყლის ალიანსი" აქვეყნებს. პროექტის ფარგლებში აჭარის 39 სოფელსა და დაბაში მოსახლეობა თანამედროვე სტანდარტების, უწყვეტი წყალმომარაგების და გამართული წყალარინების ინფრასტრუქტურით ისარგებლებს. პროექტის განმხორციელებელმა „აჭარის წყლის ალიანსმა" კომუნალური ინფრასტრუქტურის მდგრადი მართვის მიზნით მუნიციპალური წყალმომარაგების საწარმოები შექმნა. შეძენილია 22 სპეცტექნიკა, რომელიც მუნიციპალიტეტებში უკვე განთავსებულია.

* * *

დაბა შუახევში, მერიის ადმინისტრაციული შენობის ეზოში, საახალწლო ნაძვის ხე უკვე დაიდგა, რომელიც მალე განათდება. როგორც უკვე ცნობილია, საახალწლო ღონისძიებებზე 247,3 ათასი ლარი დაიხარჯება. გრანდიოზული საახალწლო ზეიმის გამართვა 29 დეკემბრისთვის იგეგმება.ადგილობრივ ანსამბლებთან, ინდივიდუალურ მომღერალ-მოცეკვავეებთან ერთად, მოზეიმეთა წინაშე ცნობილი მომღერლები და ბრენდები წარსდგებიან. ღონისძიებები მომავალი წლის 15 იანვრამდე გაგრძელდება.

* * *

„ადრეული ქორწინება - გაუცნობიერებელი პასუხისმგებლობა" - თემაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის სამსახურმა კონკურსი ჩაატარა. ინფორმაციას ქობულეთის მერია სოციალურ ქსელში აქვეყნებს. პროცესში მონაწილეობა მიიღო საჯარო და კერძო სკოლის 37-მა ახალგაზრდამ. ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელები და სიმბოლური საჩუქრები, გამოვლინდნენ საუკეთესო თემის ავტორებიც სხვადასხვა ნომინაციაში: ნომინაცია „საუკეთესო ესე", გრან-პრი, მთავარი პრიზი - ანა გოგიტიძე; ნომინაცია „საუკეთესო ესე", პირველი ადგილი - ნია თურმანიძე; ნომინაცია „საუკეთესო ესე", მეორე ადგილი - დავით რომანაძე ნომინაცია „საუკეთესო ესე", მესამე ადგილი - მარიამ გოგიტიძე.

* * *

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში დასრულდა აჭარის ღია ჩემპიონატი ფრენბურთში - „ზამთრის თასი 2023". ინფორმაციას ბათუმის სპორტის სასახლის ადმინისტრაცია ავრცელებს.ტურნირი 2009-2010 წლებში დაბადებულ გოგონათა და ვაჟთა შორის გაიმართა და მასში ბათუმის, წალენჯიხის, ქუთაისის, თბილისის, ქობულეთისა და ხულოს გოგონათა შვიდი და ვაჟთა ექვსი გუნდი მონაწილეობდა. ტურნირის გამარჯვებულის ტიტული ბათუმის სპორტის სასახლის ქალ ფრენბურთელთა ნაკრებ გუნდს ერგო, ხოლო ბათუმის სპორტის სასახლის ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრები გუნდი ვიცე ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ნომინაციაში ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ სპორტსმენი ელენე მექვაბიშვილი დასახელდა.

* * *

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიისა და კულტურის ცენტრის ინიციატივით, შუბნის საჯარო სკოლის ეზოში საახალწლო კონცერტი გაიმართა. შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა: „შუახევი", „ჭვანა, „ზე-კართან" მაყურებლებს საინტერესო ნომრები შესთავაზეს. ზეიმზე შეკრებილებს დამდეგი ახალი წელი მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე ვახტანგ გოგრაჭაძემ, შუბნის საჯარო სკოლის დირექტორმა ტარიელ ფუტკარაძემ. წინასაახალწლო კონცერტი ხაბელაშვილებშიც გაიმართა. მაყურებლის წინაშე წარსდგნენ შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ნაი", უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფესვები" და ავთენტური ანსამბლი „ჭვანა". დასკვნითი კონცერტი სოფელ ოლადაურში გაიმართება, რომელშიც კულტურის ცენტრთან არსებული ყველა ანსამბლი მიიღებს მონაწილეობას.

* * *

თბილისში გამართულ ღია პირველობაზე, რომელშიც ხუთი ქალაქის აკრობატები მონაწილეობდნენ, ბათუმელმა გოგონებმა სხვადასხვა სინჯის მედლები დაიმსახურეს. ქალთა წყვილებში, პირველ თანრიგში, პირველი ადგილი დიანა ბასილაძემ და დეა მჟავანაძემ დაისაკუთრეს, პირველ ადგილზე გავიდა ასევე ქალთა სამეულები (დიდების მესამე თანრიგი) ნინო სურმანიძის, ნუცა გიორგაძისა და ქეთევან კუპრაძის შემადგენლობით და ქალთა სამეული ბარბარე მახარაძის, მერი დუმბაძისა და ანასტასია შარაძის შემადგენლობით (პატარების პირველი თანრიგი). ქალთა წყვილი (დიდების მესამე თანრიგი) თეკლა მახარაძისა და ნინი ლამპარაძის შემადგენლობით, მესამე ადგილს დასჯერდა. გოგონები შეჯიბრებისთვის მწვრთნელმა მარინე სარიშვილმა და ქორეოგრაფმა ირმა გურგენიძემ მოამზადეს.

* * *

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" სოციალური მედიის მონიტორინგის გუნდმა ბათუმში, „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში" სამუშაო შეხვედრა გამართა ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებთან. სოციალური მედიის მონიტორინგის გუნდმა შეხვედრის მონაწილეებს ანტიდასავლური კამპანიის შესახებ უახლესი კვლევები და მიგნებები გააცნო.

**მოამზადა**
**თამარ ლამპარაძემ**

# ისტორიული დღე – მნიშვნელოვანი საფეხური ევროკავშირში გასაწევრიანებლად

**ლაშა ხომერიკი 593 50 82 69**

***საიდან მოვდივართ? ვინ ვართ? საით მივდივართ? - ეს კითხვები, რომლებიც ჩვეულებრივ, მოაზროვნე ადამიანებს ებადებათ, ამ დღეებში ქვეყნის ნებისმიერი მცხოვრებისთვის გახდა აქტუალური და საინტერესო***



საქართველო ახალი რეალობის წინაშეა - ქვეყანას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა, ეს მნიშვნელოვანი ფაქტია. გვეიმედება, რომ საქართველო ნაკისრ ვალდებულებებსაც ზედმიწევნით შეასრულებს, დასავლეთიც გაითვალისწინებს ქართველი ხალხის ისტორიულ არჩევანს ევროინტეგრაციის თვალსაზრისით, რის გამოც ჩვენს ქვეყანას მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუწია, რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ ამის თვალსაჩინო მაგალითია. როგორც ჩანს, დასავლეთმა ყოველივე ეს გაითვალისწინა და საქართველოს ევროპის კარი არ დაუხურა, ხატოვნად რომ ვთქვათ, ევროპამ გვითხრა, ჩემიანები ხართო. ეს მით უფრო გასახარია, რომ ჩვენმა ქვეყანამ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ევროპასთან ურთიერთობით ცხადყო მასთან სულიერი და კულტურული სიახლოვე. საქართველოს გეოპოლიტიკური რეალობა დროდადრო, საუკუნეების განმავლობაში, ჩვენდა სავალალოდ, მრავალ დაბრკოლებას გვიქმნიდა და გეზსაც გვიცვლიდა, აღარც ერისკაცების ძახილი გვაფხიზლებდა: „ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?“. ამ ძილში ხომ ერის მოდუნებული და დამცრობილი ნებელობა და ემოციური ცნობიერება იგულისხმება. დიახ, გვეძინა კარგა ხანს, მაგრამ გამოფხიზლების ფაზა დაიწყო: ესაა გზა ევროპული ინტეგრაციისაკენ. ამ გზაზე წარმატებით ვერ ვივლით, თუ განსაზღვრულ 9 ვალდებულებას არ შევასრულებთ, ერთ-ერთია 2024 წლის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება. ამთავითვე ნათელია, არჩევნებს გამადიდებელი შუშით დააკვირდებიან. პრაქტიკულად, ქვეყანაში არაოფიციალური საარჩევნო მარათონი დაიწყო, პარტიები გადაჯგუფებას იწყებენ, ოპოზიციურ ფლანგზე ვხედავთ გარკვეულ გადაადგილებებს.

„ნაცმოძრაობამ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ ახალი პლატფორმა შექმნეს, აქტიურობს „ლელო საქართველოსთვის “. პარტია „საქართველოსთვის“ სოციოლოგიური გამოკითხვებით მესამე ადგილზეა. მოკლედ, პოლიტიკური სპექტრი გააქტიურდა. როგორ წარიმართება არჩევნების პროცესი, ეს მეტად მნიშვნელოვანია, თვალნათელია, რომ ის ლაკმუსის ფუნქციას შეასრულებს და განსაზღვრავს ჩვენს ხვალინდელ დღეს.

იმის გასარკვევად, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ანალიტიკოსები ღირსშესანიშნავ ფაქტს - საქართველოსთვის აღნიშნული სტატუსის მინიჭებას, რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ.

**გიორგი კობერიძე, ანალიტიკოსი:**

- გილოცავთ! საქართველომ ოფიციალურად მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოს სტატუსი. დღეიდან ევროპის რუკაზე წარუშლელად გამოჩნდება საქართველო, დანარჩენი კი გონიერი პოლიტიკის, მონდომების, რეფორმებისა და შრომის შედეგად დადგება.

**გიგა ფარტენაძე, საჯარო მმართველობის დოქტორი, ბსუ-ის ასისტენტი პროფესორი:**

- კანდიდატის სტატუსი არის გაწევრიანებაზე მოლაპარაკების დაწყების წინაპირობა, რაც უდიდესი მნიშვნელობისაა. გარდა ამისა, სტატუსის მონიჭება ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების, განათლების, კულტურის, მცირე ბიზნესის, სოფლის მეურნეობის, მწვანე პოლიტიკის, გარემოს დაცვის, განახლებადი და ეკომეგობრული გარემოს ხელშეწყობის, ღია მმართველობის პრინციპების დანერგვის და ასე შემდეგ, გაორმაგებულ მხარდაჭერას გულისხმობს, რაც აისახება ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.

**გელა ირემაძე, პოლიტოლოგი:**

- კანდიდატის სტატუსის მიღებას ჩვენი ქვეყანა იმსახურებდა მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა. ერთი წლის წინ საქართველოს უსამართლოდ მოექცნენ, როცა მხოლოდ უკრაინას და მოლდოვას მიანიჭეს ეს სტატუსი. როგორც ჩანს, დასავლეთმა არ გაიმეორა 2007 წლის პრეცედენტი, როცა მაპი არ მოგვანიჭეს, რაც რუსეთმა სათავისოდ გამოიყენა და საქართველოს მიმართ აგრესია განახორციელა. ახლა მთავარია, ნაკისრი ვალდებულებები ზედმიწევნით შევასრულოთ და, ასევე, საპარლამენტო არჩევნები სანიმუშოდ ჩავატაროთ, რათა დასავლეთს არ მიეცეს საშუალება, საქართველო არადემოკრატიული ქვეყნების სიაში შეიტანოს, რაც რუსეთის სანუკვარი ოცნებაა.

2024 წელი საცაა კარებს შემოაღებს, წელი, რომელიც გარდამტეხი იქნება ერის ისტორიაში - საპარლამენტო არჩევნები დაგვანახებს, რამდენად მზად ვართ, ევროპულად ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ...შესაბამისად უნდა ვუპასუხოთ ამ კითხვას და ერთგულად მივყვეთ ჩვენს მარადიულ სწრაფვას საკუთარი იდენტობის გასაცნობიერებლად: საიდან მოვდივართ, ვინ ვართ, საით მივდივართ!

# საქართველოს ისტორიის ახალი ეტაპი დაიწყო

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

***დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მრავალი ისტორიული თარიღი ჩაიწერა, მათ შორის საპატიო ადგილს დაიჭერს 2023 წლის 14 დეკემბერი - ევროკავშირის 27 ქვეყნის ლიდერებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ჩვენი ქვეყნისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას***

*„აჭარამ“ კომენტარები მთიანი აჭარის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან ჩაიწერა.*

**ვახტანგ ბერიძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე:**




- ეს დღეები თითოეული ჩვენგანის ყურადღება ევროპის პოლიტიკური ცენტრისკენ იყო მიპყრობილი. ვხარობთ და ვზეიმობთ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას. ეს აღიარება თავისით არ მოსულა, იგი ქვეყნის ახლანდელი ხელმძღვანელობის, მმართველი პარტიის ლიდერების, უშუალოდ ბატონ ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა. საქართველოს ლიდერების ვიზიტებს ევროპის ქვეყნებში, ევროკავშირის მმართველ სტრუქტურებში, ჩვენთან მათ ვიზიტებს შედეგი მოჰყვა. რა თქმა უნდა, იყვნენ, არიან და იქნებიან ქვეყნისა და ერის მტრები, რომლებსაც ეს აღიარება, არ მოსწონთ. პირდაპირ თუ ირიბად კიდეც გვიშლიდნენ ხელს, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. ჯერ კანდიდატი ქვეყნის სტატუსი გვაქვს, მტკიცედ მწამს და მჯერა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყანაც გავხდებით. ხულოს მოსახლეობის სახელით, ვულოცავ ქართველ ხალხს ამ აღიარებას.

**ომარ ტაკიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე:**




- სულხან-საბა ორბელიანიდან დაწყებული, თაობების ოცნება იყო, საქართველო ევროპაში გაჭრილიყო. ქვეყნის ახლანდელი ხელმძღვანელობის, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიზანმიმართული მუშაობის შედეგებია ვიზალიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობა, ქვეყნის ევროკავშირის სტრუქტურებისკენ სწრაფვა, საქართველოს ევროპა-აზიის დამაკავშირებელ დერეფნად გადაქცევა. ამ ეტაპზე უმთავრესი მაინც ევროკავშირის სტრუქტურებისკენ სწრაფვა იყო. ეს აღიარება დროული და საჭირო იყო, ერთხელ კიდევ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, ვისაც ევროკავშირის 27 ქვეყნის ლიდერების მხარდაჭერის არ სჯეროდა. შუახევის მოსახლეობის სახელით, გილოცავთ ყველას!

**როლანდ ბერიძე, ქედის მუნიციპალიტეტის მერი, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე:**




- დამოუკიდებელი საქართველოს წარმატებები ყველას გვახარებს. 30-ზე მეტი წლის განმავლობაში მრავალ განსაცდელს გავუძელით, დღეს კი თითოეული ჩვენგანი ამაღლებულ განწყობაზე ვართ - საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭეს. დიდ პატივთან ერთად, დიდი ვალდებულებაცაა. ამიერიდან მეტი ზრუნვა გვმართებს, რომ ის მოთხოვნებიც შეასრულოს საქართველომ, რომლებიც წევრი ქვეყნის სტატუსის მოპოვებისთვისაა საჭირო. ქვეყნის ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქესა და თითოეულ თანარაიონელს გილოცავთ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას. ვიაროთ წინ და წარმატებით!

# „სააკაშვილი პოლიტიკაში არის იგივე დონე, რაც ხაბეიშვილი, სახელებია სხვადასხვა“

***აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ქართული ოცნებიდან“ ცოტნე ანანიძე ენმ-ში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს და რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებებს ეხმაურება: „სააკაშვილი პოლიტიკაში არის იგივე დონე, რაც ხაბეიშვილი, სახელებია სხვადასხვა, ნაცნობი რიტორიკით და ხრიკებით“, - განაცხადა მან***



„სად გაგონილა, რეკლამები სარბენ ბილიკზე იყოს გადაღებული, ერთ ადგილზე სირბილი მათი პოლიტიკური ხედვის ნაწილია, რომელიც გამოხატულია „ნაცმოძრაობის“ დღევანდელი ლიდერის ვიდეოებში. რას ელოდება ამომრჩეველი „ნაციონალური მოძრაობის“ ძველი თუ ახალი წევრისგან - ხაბეიშვილისგან, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს სააკაშვილს. ლევან ხაბეიშვილი იგივე მიხეილ სააკაშვილია, სხვა სახელით და გვარით, იგივე რიტორიკით და ნაცნობი ხრიკებით. ოპოზიცია, ამ რესუსრით და მათ მიერ შექმნილი ხაფანგით - პრორუსული იარლიყების აკიდების სტრატეგიით, არჩევნებამდე პოლიტიკურ მოცემულობას ვერ შეცვლის“, - ამბობს ცოტნე ანანიძე. აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი ასევე ეხმაურება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. „სტატუსის მინიჭება ქართველი ხალხის ისტორიული ნების აღსრულების ძალზე მნიშვნელოვანი, პოლიტიკური და იურიდიული გაფორმებაა. ოპოზიციის უსუსური მცდელობა, ამ პროცესში მოახდინოს სახელმწიფოს, მოსახლეობის და ხელისუფლების დისტანცირება, კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ პოლიტიკურ მიზნებს - არ ერიდებიან ქვეყნის ინტერესების დაზიანებას, ოღონდაც ვიწრო პარტიული სურვილები დაიკმაყოფილონ. ანბანური ჭეშმარიტებაა საერთაშორისო საჯარო სამართალში, მით უფრო, საგარეო ურთიერთობების ნაწილში, რომ სახელმწიფოს, ხალხს და ქვეყნის ინტერესს წარმოადგენს ხელისუფლება“, - აცხადებს ცოტნე ანანიძე. იგი, ასევე, აღნიშნავს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში ასეთი სუსტი და უსუსური ოპოზიცია არასდროს ყოფილა. „არ მახსენდება პერიოდი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, როდესაც ოპოზიცია ასეთი უსუსური იყო. ისინი თავიანთი გამოგონილი ამბების ტყვედ იქცნენ, ვერ გასცდნენ მტრის ხატის შექმნის და პრორუსულობის დაბრალების მესიჯბოქსებს. არა მგონია, დღეიდან არჩევნებამდე რაიმე შეიცვალოს. გვახსოვს, მათი ხელისუფლებაში ყოფნისას რა მეთოდებით ხურავდნენ სატელევიზიო არხებს, გადაცემებს პირდაპირ ეთერში თიშავდნენ, სატელიტურ ანტენებს აყადაღებდნენ, ყველა პროტესტის წამოწყებისას ფაბრიკაციებს აქვეყნებდნენ პრორუსულობასა და ქვეყნის მოღალატეობაზე, ყველანაირ წითელ ხაზს კვეთდნენ, ფეხქვეშ თელავდნენ ადამიანის უფლებებს, სწორედ ამიტომ ხალხმა მათ არჩევნებზე მტკიცე უარი უთხრა, თუმცა რას ვხედავთ დღეს? მათი მხრიდან გრძელდება იგივე რიტორიკა. დღესაც იგივეს აგრძელებენ. მოსახლეობას არ სჯერა ენმ-ის შეცვლილი სტრატეგიის, არ გამოუვათ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, ისინი თავიანთი ფანტაზიის ტყვეები არიან“, - აცხადებს ცოტნე ანანიძე, რის შესახებაც ინფორმაციას აჭარის უმაღლესი საბჭო ავრცელებს.

# საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიიღო!

**თამარ ლამპარაძე 595 85 80 06**

***14 დეკემბერი საქართველოსთვის ისტორიული თარიღია - ის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გახდა. ქართველი ხალხის ბრძოლამ, საქართველოს მთავრობის ხანგრძლივმა მოლაპარაკებებმა და მიზნისკენ სწრაფვამ შედეგი გამოიღო***

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რომელიც ქვეყანამ დამსახურებულად მიიღო, ნიშნავს კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს ევროპისკენ, ევროკავშირის მომავალ წევრობას, გაფართოების სიმბოლურ თარიღად კი დასახელებულია 2030 წელი.








„ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა, უკრაინასთან და მოლდოვასთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები გახსნას. ევროპულმა საბჭომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭა. ასევე, ევროკავშირი გახსნის მოლაპარაკებებს ბოსნია-ჰერცეგოვინასთან მას შემდეგ, რაც წევრობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის საჭირო ხარისხი იქნება მიღწეული და მოიწვია კომისია, მოამზადოს შესაბამისი ანგარიში ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად. ეს არის იმედის ცხადი მესიჯი მათი ქვეყნებისა და ჩვენი კონტინენტისთვის“, - დაწერა გუშინ „ტვიტერზე“ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა. საქართველოს ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის ელჩმა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება მიულოცა ფრაზით - „გილოცავ, საქართველო!“.

რაც შეეხება მთავრობის წარმომადგენლების განცხადებებს, ისინი ამბობენ, რომ სტატუსი ქართველ ხალხთან ერთად მთავრობის წარმატებული მმართველობის დამსახურებაცაა.

„მინდა მივულოცო ყველას. მინდა მივულოცო ეს დღე ჩვენი პარტიის დამფუძნებელს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომლის მმართველობამაც მოიტანა სწორედ დღევანდელი დღე, ეს გამარჯვება და ეს წარმატება. 2012 წლიდან მოყოლებული, ჩვენმა გუნდმა, ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა მიაღწია მაქსიმუმს და დღევანდელი დღე, შეიძლება ითქვას, არის ერთგვარი დაგვირგვინება ჩვენი წარმატებული მმართველობისა. ეს გამარჯვება გეკუთვნით თქვენ, ძვირფასო მოქალაქენო, ეს არის ჩვენი შრომის, ჩვენი ბრძოლის შედეგი და კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ისტორიული გამარჯვების საქმეში თითოეული აგური დადო და ეს გამარჯვება მოუტანა ჩვენს ხალხს“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ოპოზიციაში აცხადებენ, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებით დამარცხდა რუსეთი, გამარჯვება კი მხოლოდ ქართველი ხალხის დამსახურებაა და არა მთავრობის.

„ეს თქვენი დამსახურებაა, ყველასი, ქართველი ხალხის. იმ არაერთი პროტესტის, წინააღმდეგობის, ბრძოლის, რომელიც თქვენ გქონდათ შეკრებების დროს, რომლებსაც წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია.

დღეს თუ ვინმე დამარცხდა, დამარცხდა რუსეთი და ამასთან, რუსული დეზინფორმაციული კამპანია. დამარცხდა უმძიმესი ანტიდასავლური რიტორიკა, რომელიც საქართველოში იყო და დღეს მთელმა ევროპამ, ევროპელმა ლიდერებმა დააფასეს ქართველი ხალხის მისწრაფება ევროპული ოჯახისკენ“, - განაცხადა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ.

„ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე განცხადება გაავრცელა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმაც: „დღევანდელი დღე მონუმენტური ეტაპია საქართველოსა და ჩვენი ევროპული ოჯახისთვის! ქართველი ხალხის ურყევმა ნებამ თავისი სიტყვა თქვა, რამაც დამსახურებულ კანდიდატის სტატუსამდე მიგვიყვანა. საქართველოს ევროპულ ოჯახთან ხელახლა გაერთიანება შეუქცევადი პერსპექტივაა!“.

რას ფიქრობენ აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსები კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით, როგორი პოზიცია და რა ემოცია გამოიწვია მათში სტატუსის მიღებამ?

**გოჩა მგელაძე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი:**

- ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება არის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის ევროპული განვითარების მიმართულებით. ორმაგად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, ქართველ ხალხთან ერთად, ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას მიაღწია ღირსებით, მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში იყო არაერთი მცდელობა ეს თემა გამოეყენებინათ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, სტატუსის მიღების საბოტაჟიდან დაწყებული, რევოლუციის მცდელობით დამთავრებული. ხელისუფლებამ და ქართველმა ხალხმა გამოიჩინა უპრეცედენტო სიბრძნე და შედეგს მიაღწია - მშვიდობაც შეინარჩუნა, ეკონომიკური სტაბილურობაც და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსიც მიიღო. ეს გამარჯვება ეკუთვნის ყველას, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს. ვულოცავ ქართველ ხალხს და საქართველოს ხელისუფლებას ამ მნიშვნელოვან შედეგს!



**არჩილ სამნიძე, პარტიის „გახარია საქართველოსთვის“ წარმომადგენელი:**

- საქართველომ მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. ვულოცავ ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს ამ ისტორიულ და უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას. ეს არის ქართველი ხალხის მრავალწლიანი ბრძოლისა და კეთილსინდისიერი საჯარო მოხელეების დაუღალავი შრომის შედეგი და მიუხედავად მცდელობებისა როგორც ხელისუფლების, ისე რიგი ოპოზიციური პარტიების მხრიდან, რომ საკუთარ მიღწევად გაასაღონ ეს გადაწყვეტილება, არაფერი გამოუვათ. კანდიდატის სტატუსის მიღების პროცესში, ევროკავშირის მხრიდან, ყველა შეფასებასა და ყველა განცხადებაში ხაზგასმით და ცალსახად იყო აღნიშნული, პირველ რიგში, ქართველი ხალხის დამსახურების შესახებ. კი, ნამდვილად საზეიმო და მისასალმებელი მიღწევაა კანდიდატის სტატუსი საქართველოსთვის, მაგრამ ეს არ არის ის მთავარი შედეგი, რისგანაც ჩვენი მოქალაქეები უპირობო და დაუყოვნებლივ სარგებელს მიიღებენ. კანდიდატის სტატუსი მხოლოდ საწყისი ეტაპია. მთავარი მიზანი ჯერ კიდევ წინ გვაქვს და ამისთვის ხელისუფლება და ოპოზიციის რადიკალური ნაწილი უნდა ვაიძულოთ, შეიქმნას სამუშაო ფორმატები ევროკომისიის მიერ გაცემული 9 რეკომენდაციის შესასრულებლად. ცხადია, ამ პროცესის უზრუნველყოფისთვის მთავარი პასუხისმგებლობა ხელისუფლებაზეა. ჩვენ ასეთ ფორმატებში ვმონაწილეობდით წარსულშიც, მონაწილეობას ვაპირებთ ხვალაც და ვიქნებით ყველგან, სადაც ჩვენი ქვეყნის ფუნდამენტური ინტერესებია.



**კახა მიქელაძე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:**

- ყველას ვულოცავ ევროპულ ოჯახში დაბრუნებისაკენ გადადგმულ დიდ ნაბიჯს და აღვნიშნავ, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხის დამსახურებაა, რომელმაც პრინციპული პოზიციის გამოხატვით შეძლო ხელისუფლების ახირებათა გაქარწყლება. ჩვენ კარგად გვახსოვს ხელმძღვანელი პირების სახიფათო განცხადებები და, ზოგადად, მმართველი პარტიის მესიჯბოქსი, რომელიც ანტიევროპული შინაარსის იყო. მოკლედ, ბევრი ეცადეს, სტატუსი რომ არ მიგვეღო, თუმცა ხალხის სწრაფვამ და ევროკავშირის გონივრულობამ გაიმარჯვა! ახლა მეტი პროგრესირებისთვის აუცილებელია ჩავატაროთ სამართლიანი არჩევნები, რადგან კანდიდატის სტატუსს თუ იმსახურებ, არ უნდა გყავდეს ღირებულებებისაგან დაცლილი ხელისუფლება.



# სეზონს მომზადებული შეხვდნენ



**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

***ბაკურიანი, მესტია, გოდერძი და გუდაური ის სამთო-სათხილამურო კურორტებია, რომლებიც 20 დეკემბრიდან, მთელი ზამთრის სეზონის განმავლობაში, მილიონზე მეტ უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტიორს მოემსახურებიან***

სეზონს მომზადებული შეხვდა აჭარაში არსებული სამთო-სათხილამურო კურორტი გოდერძი. როგორც ჩვენთან საუბარში გოდერძის მთის კურორტის მართვის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ლომიამ აღნიშნა: „გამართულია ზანკებიდან მთა ჭანჭახამდე არსებული ბაგირგზა. ყოველდღიურად ხაზზეა 24 გონდოლა და 43 ბაბლი, საჭიროების შემთხვევაში, მათი რაოდენობა შესაბამისად, 69-77-მდე შეიძლება გაიზარდოს - დეკემბრის დასაწყისში მოსულმა თოვლმა ვიზიტიორებიც მოიზიდა. სასრიალო ტრასები იტკეპნება. მწყობრშია თოვლსატკეპნი მანქანები და მოტომარხილები“.

სეზონის ნორმალურად წარმართვისთვის, მარტო ბაგირგზების გამართვა არაა საკმარისი. ვიზიტიორების მოლოდინშია თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სასტუმროები: „ამბასადორი“, „ირეპალასი“, „ალიანს ვილა“, „არსიანი“, „ჩვენებურები“ და ინდივიდუალური კოტეჯები. მომავალი წლის 14 იანვრის ჩათვლით, უკვე ყველა ნომერი დაჯავშნულია.

მოწესრიგებულია ხულო-ზანკების საავტომობილო გზა. გოდერძის უღელტეხილზე საავტომობილო მიმოსვლა შეფერხებულია.

# ორჰან ბერიძე: საზღვრებს მიღმა უფრო დიდი საქართველოა

***„გახსოვდეს, ხის სიმაღლე მიწის ზემოდან კი არ იზომება - ფესვებიდან. შენი ფესვები იქ არის - საქართველოში“ - ასე შეიძლება დავიწყოთ საუბარი ქართველი მუჰაჯირების შთამომავლებზე, რომლებსაც ეს სიტყვები ყველაზე ზუსტად ესადაგებათ. მათ ნამდვილად ახსოვთ საკუთარი ფესვებიც, საქართველოც ძალიან უყვართ და მემლექეთზე ფიქრიც არ ასვენებთ***

*მუჰაჯირობა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ურთულესი პერიოდია. რუსეთის იმპერიის მითითებით, აჭარლების ნაწილი ოსმალეთში იძულებით გადაიხვეწა, თუმცა მათ შეინარჩუნეს მთავარი - ენა, ტრადიციები და სამშობლოს სიყვარული, რასაც ათი შთამომავლები დღესაც აგრძელებენ.*

*თურქეთელი ქართველები, რომლებიც გურჯებად მოიხსენიებენ საკუთარ თავს, ყოველთვის სიხარულით ეგებებიან საქართველოდან ჩასულ ადამიანებს და მოკითხვასა და დიდ სიყვარულს ატანენ სამშობლოში. საკუთარი გამოცდილებიდან ვიტყვი, რომ მათთან შეხვედრა, დიდ ბედნიერებასთან ერთად, უდიდესი სევდის მომგვრელია. გურჯები ხშირად იკრიბებიან და ერთმანეთს „ჩვენებურებს“ უწოდებენ, უზიარებენ საქართველოს სიხარულსა თუ ტკივილს. ხელიხელჩაკიდებულნი, ურთიერთდახმარებითა და იმედით აგრძელებენ ცხოვრებას მეორე სამშობლოში. მე ყველას სიყვარულით მოვიკითხავ მემლექეთიდან და ვეტყვი, რომ ჩვენ ერთნი ვართ და ამას ვერაფერი შეცვლის.*

*ჩვენი სტუმარია* ***ორჰან ბერიძე,*** *თურქეთში დაბადებული მე-4 თაობის წარმომადგენელი. მისი ფესვები ქედიდან მოდის, ახლა კი სტამბოლში ცხოვრობს. ის ჩვენი ქვეყნისა და თურქეთელი ქართველებისთვის ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. საოცრად დახვეწილად საუბრობს ქართულად, რომელიც 45 წლის ასაკში ისწავლა.*

**- წინაპრებით დავიწყოთ - რას ყვებოდნენ ისინი საქართველოზე?**

- ჩემი წინაპრები 1877-1878 წლებში, ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ, თურქეთში გადასახლდნენ - ქალაქ გირესუნში. მე მამაჩემის ხელში გავიზარდე. იგი ხშირად მესაუბრებოდა საქართველოზე. წინაპრებზე მოგონებები შეტანილი მაქვს ჩემს წიგნში „საუკუნის სევდა“. ბავშვობისას სოფელში ვიზრდებოდი, მაშინდელ დროში ტელევიზორი არ იყო და მხოლოდ რადიო გვქონდა. მამაჩემს უყვარდა რადიოს მოსმენა. ხანდახან გადაცემები რუსულ ენაზეც გადიოდა, რადგან ჩვენი ქალაქი ტერიტორიულად ახლოს იყო მაშინდელ რუსეთის იმპერიასთან. მამა გვაფრთხილებდა: ბავშვებო, თქვენი ჭირიმე, ცოტა უხმოდ იყავით, შეიძლება ერთი-ორი ქართული სიტყვაც გაისმას და მოვისმინოო. იგი მონატრებული იყო ქართულ საუბარს. წლების შემდეგ მას ამაყად ვეუბნები: „შენ არ ინერვიულო, მამაჩემო, დადგა დრო და ჩვენ ვისწავლეთ ის ორიოდე უძვირფასესი ქართული სიტყვა - „დედაენა“ და „დედასამშობლო“.

**- როდის ჩამოხვედით პირველად მემლექეთში და რა ემოცია გქონდათ, როდესაც ქართულ მიწაზე ფეხი დადგით?**

- ეს იყო 2009 წლის 23 აპრილს. პირველად მივდიოდი საქართველოში. ღამე თეთრად დამათენდა, ძალიან ვღელავდი... ვფიქრობდი ჩემს წინაპრებზე, რომლებმაც მიწაში ჩაიტანეს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, მისი მონატრება, მასთან შეხვედრის სურვილი და მე, მეოთხე თაობა, პირველად უნდა შევხვედროდი დედასამშობლოს. ეს ნანატრი დღეც დადგა. სტამბოლის ათათურქის აეროპორტიდან ბათუმში ჩავფრინდი. ცრემლიანი ვათვალიერებდი ყველაფერს. კონტროლის წითელ ხაზზე რიგში ვიდექი და თავი სიზმარში მეგონა. ჩემი რიგიც დადგა. პოლიციელ ქალბატონს პასპორტი მივაწოდე და ჩემი გატეხილი ქართულით ვუთხარი: გამარჯობა! მე ქართველი ვარ, პირველად დავდგი ფეხი ქართულ მიწაზე, ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ, შენ ჩემი ნათესავი ხარ. ცრემლი ღვარად ჩამომდიოდა, პოლიციელიც ატირდა, ბეჭედი ჩამირტყა და გავიგონე ნანატრი სიტყვები, რომელსაც მთელი ცხოვრება მოუთმენლად ველოდებოდი: მობრძანდი შენს დედასამშობლოში!

**- თქვენ ხშირად ხვდებით თურქეთელ ქართველებს, რომლებიც აქ არასდროს ყოფილან. რა იციან მათ საქართველოზე?**

- თურქეთელი ქართველები საქართველოს დედასამშობლოდ მიიჩნევენ. ბევრი მათგანი საქართველოში ყოფილა კიდეც. ადრე საქართველოს შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ ჰქონდათ, ახლა უკვე სოციალური ქსელების მეშვეობით ეცნობიან ქართულ კულტურას. ქართველმა ემიგრანტებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მათ გაცნობიერებაში, რისთვისაც მადლობას ვუხდი.

**- ოჯახში ქართულად თუ საუბრობთ?**

- ვცდილობთ, სულ ქართულად ვისაუბროთ. სამი შვილი მყავს. გოგონებმა იციან ქართული, მაგრამ არასაკმარისად, ბიჭს კი წერა-კითხვა ქართულად მე შევასწავლე. საუბარი უჭირს, მაგრამ ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსნიდან“ სტროფები და ზურაბ გორგილაძის ლექსი „ჭოიდა ნანა“.

**- ქართველობა და სამშობლოს სიყვარული იქნებ საქართველოში მცხოვრებმა ქართველმაც ვერ გააცნობიეროს და გაითავისოს ისე, როგორც თქვენ. რა ნიშნავს თქვენთვის სამშობლო?**

- სამშობლო ჩემთვის არის დედა. საქართველოში ისე მხვდებიან, როგორც სახლში. ვინმეს რომ ვუთხრა, სახლი არ მაქვს და გამათევინე-მეთქი, დიდი სიყვარულით გამიღებენ ოჯახის კარს. მე ჩემი საქართველოსთვის, საჭიროების შემთხვევაში, თავსაც კი გავწირავ.



**- როგორც თქვენი მოგონებებიდან ჩანს, მამა იყო თქვენთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი, რომელმაც შთაგაგონათ სამშობლოსა და ქართული ენის სიყვარული... 45 წლის ასაკში ისწავლეთ ქართული. რამ გადაგაწყვეტინათ?**

- ძალიან დიდი სურვილი მქონდა, მცოდნოდა საქართველოს შესახებ ყველაფერი - მისი ისტორია, კულტურა, ზნე-ჩვეულებები, ამისათვის კი ქართულის კარგად ცოდნა იყო საჭირო. მიზანს მივაღწიე. ვკითხულობ „ვეფხისტყაოსანს“, ზოგიერთი თავი ზეპირადაც ვიცი. ასევე, ვიცი ბევრი ქართველი პოეტის ლექსი. თვალს ვადევნებ ქართულ სატელევიზიო არხებს, ვაკვირდები ქართულ პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებს. ჩვენ ძმები ვართ, ძალიან მიყვარს საქართველო. ქართველობა ჩვენი ქოლგაა. ძალიან გვახარებს ისიც, რომ საქართველო ჩვენი ამჟამინდელი სამშობლოს - თურქეთის კეთილი მეზობელი და მეგობარი ქვეყანაა. გვჯერა, კავშირი ამ ორ ქვეყანას შორის კიდევ უფრო განმტკიცდება.

**- თქვენ სტამბოლში დააარსეთ შოთა რუსთაველის კულტურის ცენტრი. როდის გაგიჩნდათ ეს იდეა და რა მიზანს ემსახურება?**

- სხვადასხვა ქართულ ასოციაციაში და მეგობრებთან ნახევრად ხუმრობით ვსაუბრობდი ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ დრო გავიდა და ხუმრობა ჭეშმარიტებად ვაქციე: ქალბატონ სალომე ბარამიძესა და კიდევ 5 ადამიანთან ერთად 2017 წელს თურქეთის მთავრობაში განცხადება შევიტანე და ასოციაციის დონეზე დავაფუძნეთ სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრი. ამ ასოციაციის დაფუძნების დროს ბათუმიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ასევე, აქ მყოფი ემიგრანტებისგან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენით, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით. თურქეთში არ იცნობენ ქართულ კულტურას და ჩვენი მიზანიც ის არის, რომ გავაცნოთ თურქეთელ ქართველებს მათი დედასამშობლო უფრო უკეთ. შოთა რუსთაველის ასოციაციაში ეწყობა ქართული შეხვედრები, ღონისძიებები, აღვნიშნავთ ეროვნულ დღესასწაულებს, ვმართავთ წიგნის პრეზენტაციებს, ემიგრანტებთან შეხვედრებს, ქართული ფილმების თურქული თარგმანით ჩვენებებს და ასე შემდეგ. ეს ასოციაცია ნამდვილად ქართულ საქმეს აკეთებს.

**- შორიდან ალბათ უფრო კარგად ჩანს ჩვენი ქვეყნის პრობლემა თუ სიხარული. გვიამბეთ თქვენი თვალით დანახულ საქართველოზე...**

- საქართველოში ძალიან მომწონს სტუმართმოყვარეობა, ადამიანობა, სითბო, სიყვარული, განათლება, კულტურა. მე ბევრი რამ საქართველოში ვისწავლე, მაგრამ ყველაზე მეტად მტკენს გულს ის, რომ ერთმანეთს ვერ იტანენ, განსაკუთრებით - პოლიტიკოსები. ვურჩევ, ხანდახან მეგობრულად ერთად ყავა დალიონ. აზრებს შორის განსხვავება უნდა იყოს, მაგრამ მათი უთანხმოებით ქვეყანა და ხალხი არ უნდა დააზარალონ.

**- ქართული პოეზიის მოყვარული ხართ და ვიტყოდი, რომ შესანიშნავად კითხულობთ ლექსებს...**

- ჩემ მიერ ლექსის წაკითხვას „სისხლის ყივილი“ ჰქვია. მე პოეტი არ ვარ, მაგრამ ვგრძნობ, როგორ არის დაწერილი ლექსი და რას ემსახურება. ჩემი ემოციებით წაკითხულ ლექსში იგრძნობა, თუ როგორ მიყვარს ჩემი საქართველო.

**- აპირებთ საქართველოში დაბრუნებას?**

- როგორ არა, მაგრამ ეს არ არის იოლი. ჯერ ემიგრანტები უნდა დავაბრუნოთ საქართველოში. თურქეთელი ქართველების საქართველოში დაბრუნება რთულია, განსაკუთრებით - ენის ბარიერის გამო. არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ სად ვცხოვრობთ, რადგან საქართველო მარტო საქართველოში არ არის - საზღვრებს მიღმა უფრო დიდი საქართველოა. მთავარია, ქვეყანა დემოკრატიულად განვითარდეს და ერთიანობა იყოს, დანარჩენი თავისთავად მოვა.

**- რა გაქვთ სათქმელი ქართველებისთვის?**

- ჩვენი ბედისა და ისტორიის წყალობით, ქართველები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დავიბადეთ და სხვადასხვა კულტურის წიაღში გავიზარდეთ. შესაბამისად, სხვადასხვა მენტალიტეტის მატარებლები ვართ. ჩვენ ერთმანეთის მიმართ უფრო მეტად ტოლერანტული უნდა ვიყოთ და ერთმანეთს პატივი ვცეთ. თურქეთში მცხოვრები ქართველები მუდმივად თვალს ვადევნებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ქართველ და-ძმებთან ერთად გვახარებს მიღწეული წარმატებები და გულს გვტკენს ჯერ კიდევ არსებული პრობლემები. რაც შეეხება საქართველოს მომავალს, ძალიან იმედიანად ვართ, რომ საქართველო საბოლოოდ ჩამოყალიბდება როგორც ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფო. დიდად გვახარებს ბოლო წლებში საქართველოსა და მსოფლიოში მცხოვრები ქართველი თანამემამულეების თურქეთში, ჩვენებურ ქართველებთან ურთიერთობა. საქართველოს საზღვრები გულიდან გულამდეა ქართველისთვის! ამიტომაცაა უსაზღვრო! გაუმარჯოს დედასამშობლოს! მადლობა ღმერთს, რომ ქართველები ვართ! და ვისაც ქართველობა ეთაკილება, ვაი იმას! ვინც საქართველოს ებრძვის, არც კი იცის, რომ დამარცხებულია! გაუმარჯოს ჩვენს მეგობრობას და ნათესაობას! გაუმარჯოს ჩვენს დედასავით საყვარელ საქართველოს!

> ***„პირველად მივდიოდი საქართველოში. ღამე თეთრად დამათენდა, ძალიან ვღელავდი... ვფიქრობდი ჩემს წინაპრებზე, რომლებმაც მიწაში ჩაიტანეს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, მისი მონატრება, მასთან შეხვედრის სურვილი და მე, მეოთხე თაობა, პირველად უნდა შევხვედროდი დედასამშობლოს. ეს ნანატრი დღეც დადგა***

# ცვლილებები – საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისთვის

***შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლითაც ცვლილება შედის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით, 82 ხმით დაამტკიცა***

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიზანი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

ცვლილებების თანახმად, პირველი დეკემბრიდან პირველ მარტამდე პერიოდში, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ზონებში/გზის მონაკვეთებზე გადაადგილებისას სავალდებულო იქნება სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებით აღჭურვა.



„ამასთან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით, შესაძლოა დადგინდეს ზემოაღნიშნული პერიოდისგან განსხვავებული დროის მონაკვეთი ან დაწესდეს დამატებითი მოთხოვნა, სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებთან ერთად მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით აღჭურვის შესახებ. სანქციად წესდება ჯარიმა 100 ლარის ოდენობით და მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულების 5 ქულით შემცირება. ზამთრის საბურავების ტექნიკური მახასიათებლები საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება. კანონი 2024 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოქალაქეებს გავესაუბრეთ და გავიგეთ მათი პოზიცია.

**თორნიკე ჯინჭარაძე:**

- ვფიქრობ, ძალიან საჭირო დადგენილებაა. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმის საწინდარია, რომ არ მოხდეს ავარიები ზამთრის ცივ პერიოდში. ბევრი მართავს მანქანას ისე, რომ ზამთარში არ იყენებს შესაბამის საბურავებს და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებს. მით უმეტეს, რომ აჭარაში ყინვა და თოვლი საკმაოდ იცის. ჩემს სააxლობლოში მოხდა შარშან ცუდი შემთხვევა, როდესაც თოვლში არასათანადო საბურავებით მოძრაობის დროს მანქანები ერთმანეთს შეეჯახა. ძალიან მომწონს ეს საკანონმდებლო ცვლილება და ვფიქრობ, სწორი ნაბიჯია სახელმწიფოს მხრიდან.

**მაკა გურეშიძე:**

- ვფიქრობ, გარკვეულ მონაკვეთებში აუცილებელია ზამთრის საბურავები და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებიც. კანონში კი წერია, რომ გარკვეულ მონაკვეთებზეა საუბარი, მაგრამ მე წყალტუბოში ვცხოვრობ და შეიძლება, თოვლი საერთოდ არც მოვიდეს აქ, არც ყინვები იყოს. შესაბამისად, არც საბურავი დამჭირდეს და არც ჯაჭვი, ამის გამო კი 100 ლარით რომ დამაჯარიმონ, სწორად არ მიმაჩნია. ვფიქრობ, ზოგადად, 100 ლარიც ძვირია.

**გვერდი მოამზადა**
**თამარ ლამპარაძემ**

# ნენიაში ნორმალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც აქვთ და მოსწავლეთა კონტინგენტიც არ მცირდება

*ჩვენი სტუმარია შუახევის მუნიციპალიტეტის ნენიის საჯარო სკოლის დირექტორი **ნუგზარ ქამადაძე**.*

**- ბატონო ნუგზარ, კიდევ რამდენიმე დღე და... მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სემესტრი დასრულდება. როგორ განვლეთ ეს პერიოდი?**

- პირველ რიგში, ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთით სრულიად საქართველოს, ამ ქვეყნის ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქეს ვულოცავ ევროპისკენ გადადგმულ ნაბიჯს. არ მინდა ყურადღების მიღმა მოახლოებული ახალი წელი დამრჩეს. ვისურვებდი, მომავალიც ისეთივე წარმატებული იყოს, როგორიც წლევანდელი. რაც შეეხება ჩვენს სკოლას - ნორმალური მატერიალური ბაზა, კვალიფიციური პედაგოგები და მოსწავლეთა კონტინგენტი (სხვა სკოლებთან შედარებით) საშუალებას იძლევა, რომ სწავლება სასკოლო რეფორმის შესაბამისად წარვმართოთ. სკოლაში, 43 მოსწავლიდან, დაბალი აკადემიური მოსწრების არავინ გვყავს.

**- წლებია, სკოლაში სათანადო დონეზეა კლასგარეშე მუშაობა...**

- მარტო საგაკვეთილო პროცესი არ არის საკმარისი 21-ე საუკუნის ახალგაზრდობის აღზრდისათვის. ნორმალური სპორტული ბაზა, ღია და დახურული მოედნები, სოფლის მშვიდი გარემო ხელსაყრელია ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდისთვის. მოსწავლეებმა ინტელექტუალურ თამაშებშიც წარმატება მოიპოვეს. სისტემატური კავშირი გვაქვს მოსწავლეთა მშობლებთან, ისინიც ჩართულნი არიან იმ სასწავლო-შემოქმედებით ექსკურსიებში, მასობრივ ღონისძიებებში, რომლებსაც საღვთო და საერო დღესასწაულებზე ვატარებთ. საზოგადოებას კარგად ახსოვს სკოლის თეატრალური დასის წარმატებებიც... ერთი ადგილის ტკეპნა სასკოლო საქმიანობას სასიკეთოდ არ წაადგება. პედაგოგები და უფროსი კლასების მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა სახის პროექტებში, რაც ხელს უწყობს მათი სოციალური უნარების განვითარებას.



**- მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო ბევრი სკოლა დახურვის პირასაა. თქვენთან რა მდგომარეობაა?**

- კარგად მახსოვს, როგორ გადაჭყავდათ მშობლებს შვილები ახლად გახსნილ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლაში. არც მაშინ და არც შემდგომ წლებში ჩვენგან მოსწავლეები არ გადასულან. ადგილზე იღებენ იმ უნარ-ჩვევებს, განათლებას, რაც ეროვნული გამოცდების პირობებს აკმაყოფილებს. შარშან სკოლა 9 მოსწავლემ დაამთავრა, რომელთაგან 7 სტუდენტი გახდა, მათგან ხუთმა 100-პროცენტიანი სოციალური დაფინანსება მიიღო.

*„მასწავლებელს, რომელიც საკუთარ თავზე მუშაობას წყვეტს, სკოლაში არაფერი ესაქმება. მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა არ გვაკლია, მოწინავეთა გამოცდილებას მასწავლებლები სემინარებზე დასწრებითა და ონლაინრეჟიმში ეცნობიან. მისასალმებელია, რომ პედაგოგები რამდენიმე წელია, წარმატებით გამოდიან ინტელექტუალურ თამაშებზე და საპრიზო ადგილებს ინაწილებენ*

ვართ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრანტის მფლობელები. სოფლის სკოლა რომ წარმატებული იყოს, პირველ რიგში კვალიფიციური პედაგოგები უნდა ასწავლიდნენ, რაც ჩვენთან პრობლემა არაა.

**- წლებია, სკოლას ხელმძღვანელობთ. საკმაო რაოდენობით გყავთ სერტიფიცირებული პედაგოგები. როგორია მათი ჩართულობა სასკოლო საქმიანობაში?**

- მასწავლებელს, რომელიც საკუთარ თავზე მუშაობას წყვეტს, სკოლაში არაფერი ესაქმება. მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა არ გვაკლია, მოწინავეთა გამოცდილებას მასწავლებლები სემინარებზე დასწრებითა და ონლაინრეჟიმში ეცნობიან. მისასალმებელია, რომ პედაგოგები რამდენიმე წელია, წარმატებით გამოდიან ინტელექტუალურ თამაშებზე და საპრიზო ადგილებს ინაწილებენ.

**- ქართულ ენას, მწერლობას სათანადოდ აფასებთ. ქართველ მწერალთაგან ვინაა თქვენი იდეალი?**

- ილია ჭავჭავაძე. ნენიელებს ქართველი მწერლები გამორჩეულად გვიყვარს. ჟურნალისტი ნოდარ ქამადაძე სოფელში რამდენჯერმე მასპინძლობდა თბილისსა და ბათუმში მოღვაწე მწერლებს, პოეტებს. ახლა მის გზას აგრძელებს ლევან ქამადაძე. ქართული სიტყვის ოსტატების წინაშე ვალში არც მე მინდა დავრჩე. მიმდინარე სასწავლო წელს ერთი ღონისძიება მაქვს ჩაფიქრებული და მაშინ უკეთ წარმოჩნდება ჩემი დამოკიდებულება სიტყვის ოსტატებისადმი.

**- მასწავლებელთა პრესტიჟის ასამაღლებლად, წარმატებული პედაგოგების გამოსავლენად დაწესებულ ჯილდოებზე რას იტყვით?**

- ამას წინათ განვაცხადე: შუახევის, ჭვანისა და მახალაკიძეების სკოლების შემდეგ, დროა, ნენიაშიც გვყავდეს საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი, რაც დიდი სტიმულია პედაგოგებისთვის. მომავალი წლიდან სახელფასო დანამატიც იზრდება. მასწავლებლები სკოლიდან უკვე აღარ გარბიან, პირიქით, სკოლებს უბრუნდებიან. მათი შრომის ამგვარი დაფასება იმის საწინდარია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიურ სპეციალობებზე მეტი ახალგაზრდა ისწავლის.

**- ჯილდოსთვის დაწესებულ კრიტერიუმებს რამდენად აკმაყოფილებენ ნენიელი მასწავლებლები?**

- სკოლაში 20 პედაგოგი მუშაობს, მათგან 17 სერტიფიცირებულია. სხვა სკოლებისგან განსხვავებით, ახალგაზრდების რიცხვიც საკმაოა. იმედია, მალე მენტორი მასწავლებელიც გვეყოლება. უკვე დასრულდა საპროექტო სამუშაოები და გაისად სოფელში არსებულ ალტერნატიულ ბაღს ბიუჯეტზე მყოფი სკოლამდელი დაწესებულება ჩაანაცვლებს. ესეც სწავლების ხარისხს გააუმჯობესებს. დიდ დახმარებას გვიწევს შუახევის მუნიციპალიტეტის მერია და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. შარშან დავასრულეთ ღია ტიპის კალათბურთის, ფრენბურთის და ფეხბურთის მოედნების მოწყობა. თანხა სამინისტროს ბიუჯეტიდან იყო მობილიზებული.

**- სპორტში მაჩვენებლებმა თუ იმატა?**

- ნენიაში თავისუფალი ჭიდაობის კარგი ტრადიციები გვაქვს. ახლა ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციას ვიწყებთ.

# აკაკი დუმბაძე: ვალში ვარ ჩემი ქედელების წინაშე

*ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **აკაკი დუმბაძე** წელს გამართულ სახალხო ზეიმზე „შემოდგომა ქედაში“ „საპატიო ქედელად“ აირჩიეს. ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში დაბადებული, 80 წელს გადაცილებული მეცნიერის შრომა და საზოგადოებრივი საქმიანობა უშუალო კავშირშია ქართული ავიაციის განვითარებასთან. იგი 1995-2005 წლებში საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის თვითმფრინავმშენებლობის კათედრის გამგედ მუშაობდა. არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად, დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა და აკადემიკოს სერგეი კოროლიოვის მედლით.*

**- ბატონო აკაკი, როგორც ვიცი, თანასოფლელთაგან პირველი იყავით, ვინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ხოლო 1971 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა დაამთავრეთ.**



- ჩემი სოფლიდან პირველი უნივერსიტეტელი იყო ფიზიკოსი ახმედ ბერიძე, რომელიც ყოველმხრივ მისაბაძი პიროვნება გახლდათ, ღრმად ერუდირებული, ინტელიგენტი, ჩემი ნათესავი და დიდი მეგობარი. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს.

**- თქვენს ცხოვრებისეულ და მეცნიერულ გზაზე იქნებოდნენ ადამიანები, რომლებმაც შეუფასებელი ამაგი დაგდოთ. მათ ღვაწლზე რას იტყვით?**

- სწორედ ასეთი ადამიანი იყო ახმედ ბერიძე. მან თავის ბინაში, ფართის უფლებით ჩამწერა, რის შედეგადაც შევძელი თბილისში მუშაობის დაწყება.

**- საქმიანი, მეგობრული, თუნდაც, მეზობლური ურთიერთობა გქონდათ შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატ ფრიდონ ხალვაშთან...**

- დედაჩემი და ხალვაშები ნათესავები იყვნენ, ისინი ხშირად გვსტუმრობდნენ. ჩემი და ფრიდონის მეგობრობა ათწლეულებს ითვლიდა. შეუდარებელი პიროვნება იყო.

**- მშობლიურ გეგელიძეებში საინიციატივო წესით აგებული საჯარო სკოლის შენობა გაქვთ, რომელიც ქვეყნისთვის ძნელბედობის წლებში, წინა საუკუნის მიწურულს შევიდა ექსპლუატაციაში. შაქრო ხალვაშსა და სხვებთან ერთად, აქტიურად იყავით ჩართული მშენებლობის და რვაწლიანი სკოლის საშუალოდ გადაკეთების პროცესებში.**

- ეს ყველაფერი შაქრო ხალვაშის დამსახურებაა, ჩემი წვლილი აქ უმნიშვნელოა. ისე, სოფელში მიმდინარე პროცესებს ყოველთვის მხარს ვუჭერ.

**- თქვენი უშუალო რეკომენდაციითა და თანადგომით მრავალი ახალგაზრდა მათემატიკასა და საავიაციო საქმეებს აზიარეთ. მათგან რამდენიმეს თუ დაასახელებთ, რომლებიც ქვეყნის სამსახურში არიან?**

- ასეთი ახალგაზრდები მრავლად არიან, მათი ჩამოთვლა გამიჭირდება, არ მინდა, ვინმე გამომრჩეს. გამოვყოფდი ჩემს ძმისშვილიშვილ ზაზა დუმბაძესა და პროფესორ ლადო ბალაძეს.

**- ელოდით, რომ „საპატიო ქედელად“ აგირჩევდნენ?**

- სიმართლე გითხრათ, არა, რადგან არასდროს მიმუშავია აჭარაში, მით უმეტეს - ქედაში.

**- მრავალი სამთავრობო ჯილდოს მფლობელისა და სამეცნიერო სფეროში წარმატებული ადამიანის ცხოვრებაში რა ადგილს დაიჭერს ქედელების ეს აღიარება?**

- სიხარულითა და სიამაყით ამევსო გული. ყველას დიდ მადლობას ვუხდი, თუნდაც, ერთი სიტყვა ვინც შემაწია. გამოვყოფდი ჩემს კოლეგას, შესანიშნავ, ნიჭიერ ახალგაზრდა კაცს, ქედის მერ როლანდ ბერიძეს. ვალში ვარ ჩემი ქედელების წინაშე.

**- რა არის მთავარი, რომ ადამიანი ერთხელ არჩეული საქმის ერთგული დარჩეს ბოლომდე?**

- ასაკოვანი მეცნიერი მდინარეში შესულ კაცს ჰგავს, რომელიც ნაპირზე გამოსვლას ცდილობს.

**- გეგელიძეებს ოჯახის წევრებთან ერთად ხშირად სტუმრობთ?**

- ყოველთვის მივილტვი ჩემი მშობლიური სოფლისა და ახლობლებისკენ, მაგრამ ასაკი ზურგზე აკიდებული ლოდივით მაწევს.

**- მალე ახალი წელი შემოაბიჯებს. თქვენი სურვილები...**

- ჩემი სურვილები უსაზღვროა. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ბუნებრივია, აქ გარკვეული ადგილი მეკუთვნის, რომელსაც ყოველთვის გავუფრთხილდები. დამდეგ შობა-ახალ წელს მივულოცავ ყველას, ვინც ცხოვრობს ჩვენს ულამაზეს საქართველოში. გფარავდეთ ღმერთი. ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთით საქართველოს ევროსტრუქტურებისკენ გადადგმულ ნაბიჯს ვულოცავ.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

# არჩილ მახარაძე – პროფესიონალი მძღოლი, თავაზიანი ადამიანი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97



*რედაქციაში ბათუმელთა ერთი ჯგუფის ხელმოწერით წერილი მოვიდა. მოქალაქეები გვთხოვდნენ, გაზეთში საჯაროდ დაგვეწერა ერთი მძღოლის შესახებ, რომელიც მგზავრებს ყოველთვის თავაზიანად და ყურადღებით ემსახურება და, რაც მთავარია, იგი დაჯილდოებულია მძღოლისთვის მთავარი და აუცილებელი თვისებით - საფრთხეზე სწრაფი რეაგირების უნარით*

არჩილ მახარაძე, ჩვენი თხოვნით, რედაქციაში გვეწვია. აღმოჩნდა, რომ 13 წელია, ბათუმის ავტოტრანსპორტში №8 მარშრუტზე მუშაობს, თუმცა ამ პროფესიით მანამდე სხვადასხვა დაწესებულებაშიც საქმიანობდა. როგორც გვითხრა, სკოლაში იმდენად კარგად სწავლობდა, სამედიცინო სასწავლებელშიც კი ჩააბარა, თუმცა ხელმოკლეობის გამო აღარ უსწავლია... დაამთავრა პროფესიული ტექნიკური სასწავლებელი ზეინკლის სპეციალობით.

ბათუმში ახალი ავტობუსები რომ შემოიყვანეს, მძღოლად მუშაობისთვის სპეციალური გამოცდები უნდა ჩაგებარებინა. გამოცდაზე ერთდროულად 50 კაცი შევიდა და... ის პირველი გამოვიდა, წარმატებით ჩააბარა, მიიღეს და 2011 წლიდან აქაა.

ავტობუსის მძღოლობას თან დიდი პასუხისმგებლობა ახლავს. ბავშვობიდან ესმოდა დედისგან, რომ ხალხთან მუშაობა ძალიან ძნელია. უკვირდა, ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა რატომ უნდა ყოფილიყო რთული. როცა წამოიზარდა, მუშაობა დაიწყო და მიხვდა, რომ ურთიერთობისას ბევრი რამაა აუცილებელი, მთავარი კი ტაქტი და სიმშვიდეა. შუახევში მუშაობდა მძღოლად, მანამდე რამდენიმე ხანს სამეგრელოში ცხოვრობდა, სადაც სახანძრო მანქანას ატარებდა, დელფინარიუმშიც იმუშავა. როგორც აღვნიშნეთ, ბევრ ადგილზეა ნამუშევარი, მაგრამ ამჟამად მისი ძირითადი საქმიანობა ავტობუსის მძღოლობაა. №8 საკმაოდ გრძელი მარშრუტია.

ამბობს, რომ კურიოზი და საფრთხე მძღოლის მუშაობის მუდმივი თანმდევია. ერთხელ სარფიდან ავტობუსით მოდიოდა, წინ ტრაილერი იყო, რომელმაც დიდ სატვირთო მანქანას გასწრება დაუპირა. ისინი საპირისპირო მხარეს მოძრაობდნენ, მთავარი კი ის იყო, რომ ეს ყველაფერი მოსახვევში ხდებოდა. გასწრებისას ტრაილერი სწორედ ავტობუსის გზაზე აღმოჩნდა და... მას უნდა დაჯახებოდა. არჩილი ხალხით სავსე ავტობუსს მართავდა, რომელშიც 60-მდე მგზავრი იყო. ჩვენს მძღოლს რომ არ ემარჯვა და სწრაფი რეაგირება არ მოეხდინა, მძიმე ავარია გარდაუვალი იყო - მან დაჯახების ადგილამდე სანტიმეტრებში გააჩერა ავტობუსი და მგზავრები გადაარჩინა.

**- ზოგჯერ მგზავრებიც მოუწესრიგებლები ვართ, არც ჩვენ ვიცავთ წესებს და ეს არ გაღიზიანებთ?**

- არ ვარ ემოციური, შეჩვეული ვარ მათ მოუწესრიგებლობას.

**- კარგ მძღოლს იმის გარდა, რომ პროფესიონალი უნდა იყოს, სიფხიზლეც სჭირდება. ხალხთან ურთიერთობა უნდა შეეძლოს...**

- სიფხიზლეს შევეჩვიე, ნერვიულობა არ შეიძლება. ეს არაფერს მოგცემს... ოჯახშიც მშვიდი ვარ.

**- ბატონო არჩილ, მინახავს, რომ სიგარეტს თავად მძღოლიც ეწევა.**

- მე არ ვეწევი და არც ალკოჰოლს ვეტანები.

**- ალბათ მთელი დღის განმავლობაში საკმაოდ იღლებით, არ არის ადვილი გადატვირთულ ტრასაზე მოძრაობა, რადგან პასუხიმგებლობაც დიდია - ადამიანები გადაგყავთ.**

- იცით, გაგიკვირდებათ, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ... არ ვიღლები. ალბათ, ჩემი სამუშაო რომ მიყვარს, დაღლას იმიტომ ვერ ვგრძნობ. არც მგზავრს ავყვები. კი იცით, რამდენი რამ ხდება, ზოგი ძალიან ხმამაღლა საუბრობს, ზოგჯერ ჩხუბსაც შეესწრები. ერთხელ ჩვენს მარშრუტზე ავტობუსი გაფუჭდა, ავტოფარეხში წავიდა, ჰოდა, მგზავრებს 15-წუთიანი ინტერვალის მაგივრად, ნახევარი საათის ლოდინი მოუწიათ და ბაზართან რომ მივედი, იმდენი მგზავრი იყო, ავტობუსში ნახევარი ვერ ამოვიდა - ერთმა ხანშიშესულმა ქალბატონმა გაბრაზებული ლაპარაკი დაიწყო. ყვირის, ილანძღება, არაფერს ვპასუხობ, ხალხიც უსმენს... მე პასუხი არ გავეცი, მაგრამ ვიღიმოდი. ამაზე კიდევ უფრო გაბრაზდა და უფრო ახმაურდა. მაინც არაფერი ვთქვი. როგორც იქნა, დაწყნარდა. ახლა რომ ამოდის, თუ დამინახა, მოდის და დედაშვილურად მეხვევა. ერთხელ ერთმა მგზავრმა არაფერი მითხრა, უბრალოდ, მოუსმინა, როგორ ვესაუბრებოდი მგზავრს, ბარცხანაში ჩავიდა და ერთი გაჩერების მერე მირეკავენ ავტოფარეხიდან და მეუბნებიან, რომ სამსახურში მადლობა გამომიცხადეს. ეს იმ მგზავრს დაურეკავს და უთქვამს, როგორ თავაზიანად ვესაუბრებოდი სხვა მგზავრს. დღესაც არ ვიცი, ვინ იყო.

მეუღლე, შვილები, ხუთი შვილიშვილი ჰყავს ბატონ არჩილს. სამსახურიდან მოსვლის შემდეგ მათთან გატარებული დრო ყველაფერს ურჩევნია.

უმრავლოს ქვეყანას ისეთი წესიერი, კეთილსინდისიერი და პროფესიონალი ადამიანები, როგორიც არჩილ მახარაძეა.

# წინასაახალწლო ტურნირი კარატეში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის კარატეს ფედერაციის, სპორტის დეპარტამენტისა და ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის მხარდაჭერით, ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში აჭარის ღია პირველობა ჩატარდა კარატეში, რომელშიც, სხვებთან ერთად, კლუბ „ტალანტის“ (მთავარი მწვრთნელი - დავით ვერძაძე) 18 სპორტსმენი ასპარეზობდა.

წინასაახალწლო ტურნირში 250-მდე კარატისტი მონაწილეობდა.

სხვადასხვა წონით კატეგორიაში პირველ ადგილებზე ანდრია ჯაფარიძე, ზურა ვერძაძე, დემეტრე დუმბაძე გავიდნენ. ვერცხლის მედლები საბა ხარაძემ, ნიკა დუმბაძემ, დათო ზოიძემ, გიგა ჟორჟაძემ მოიპოვეს, ხოლო ბრინჯაო - ნიკოლოზ კახიძემ, ლუკა შაინიძემ, ქეთი ხარაძემ, რეზი კოკობინაძემ, ანდრია ბერიძემ, გიორგი ვერძაძემ, დემეტრე ქედელიძემ, ირაკლი ფევაძემ, ილონა ფევაძემ, თათია ფუტკარაძემ და ნიკა აბაშიძემ.





აჭარის კარატეს ფედერაციამ (პრეზიდენტი გოჩა სურმანიძე) კარატეს კლუბი „ტალანტი“ ტურნირის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად დაასახელა.

# სამინისტრომ 76 წარჩინებული სტუდენტი დააჯილდოვა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული 76 წარჩინებული სტუდენტი დააჯილდოვა. საზეიმო შეხვედრას აჭარის ხელოვნების მუზეუმმა უმასპინძლა. მინისტრმა თითოეულ ახალგაზრდას წარმატებები უსურვა, აღნიშნა, რომ უწყება ყოველთვის მზად არის, მხარში დაუდგეს ახალგაზრდებს, რათა მათ მოახერხონ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება, მიაღწიონ წარმატებას არა მარტო ქვეყნის, არამედ საერთაშორისო მასშტაბით*



- დღეს სტუდენტებთან ერთად ვაჯამებთ იმ პროექტებს, რომელსაც ვახორციელებდით ახალგაზრდებისთვის. შევხვდით იმათ, ვინც სამინისტროს პროექტების ფარგლებში იღებს სწავლის დაფინანსებას და გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით. 76 ახალგაზრდას, დამატებითი ბონუსის სახით, მოტივაციის ასამაღლებლად, 500 ლარი გადავეცით. ვფიქრობ, ეს მათთვის კარგი საახალწლო საჩუქარია სამინისტროსგან. მათ ასევე ვესაუბრეთ იმ პროგრამებზე, რომელშიც შეუძლიათ ჩაერთონ სწავლის შემდგომ საფეხურებზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ სწავლების ფორმატში. აღსანიშნავია, რომ მომავალი წლისთვის, არა მარტო გაგრძელდება ეს და სხვა პროექტები, არამედ საგრძნობლად გაიზრდება. ასევე, ახალი პროგრამები გვაქვს მათთვის, რომელიც ითვალისწინებს ახალგაზრდების სტაჟირებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ შემდგომ დასაქმებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ იანვრიდან საჯარო სექტორში გვექნება ანაზღაურებადი სტაჟირება, - განაცხადა მაია ხაჯიშვილმა.

სამინისტროს სტიმულისა და მოტივაციის ამაღლებისათვის, თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ელიზა ეფაძემ.

- როდესაც ორიენტირებული ხარ განვითარებაზე, შენი საბოლოო მიზანი მხოლოდ ის არ არის, გახდე სტიპენდიატი, ვფიქრობ, ეს პროექტი არის საინტერესო და ღირებული, ხელს უწყობს შენს ზრდას. იგი ეხმარება სტუდენტებს საკუთარი თავის რეალიზებაში, აძლევს მოტივაციას, რომ საქმე აკეთოს უკეთესად და ხარისხიანად, რა თქმა უნდა, ყველა სტუდენტისთვის სტიპენდიატობა არის დიდი მიღწევა მის სტუდენტურ ცხოვრებაში, - აღნიშნა ელიზა ეფაძემ.

# 2023 წლის საშემოდგომო სესია პლენარული სხდომით დაიხურა

პირველი გვერდიდან

პირებსაც. დეპუტატებმა რეგლამენტის პროექტი - 13, „უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონი კი 14 ხმით მიიღეს. კანონმდებლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მეორე საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ (I მოსმენა) კანონსა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს მოიცავს - „საკანონმდებლო ინიციატივის წესით „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტის პარლამენტში წარდგენას.

- პირველ საკითხთან დაკავშირებით იყო კითხვა, თუ რატომ იქნება დახურული კენჭისყრა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არჩევისას. გამომდინარე იქიდან, რომ ეს საკითხი რეგულირებულია კონსტიტუციით, კონსტიტუციურ ცვლილებას მიმდინარე კანონმდებლობისგან განსხვავებული პროცედურები სჭირდება. რაც შეეხება მეორე საკითხს, ის ორი ფაქტორით იყო მნიშვნელოვანი. პირველი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ამ საკანონმდებლო ინიციატივით ახდენს თავისი უფლებამოსილების რეალიზაციას. კერძოდ, ჩვენ ვიწყებთ ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის მქონე საავტომობილო გზების სტატუსის განსაზღვრას, რასთან დაკავშირებითაც საქართველოს პარლამენტს წარედგინება საკანონმდებლო ინიციატივა. მეორე ფაქტორი, რის გამოც ეს საკანონმდებლო პაკეტი გამოირჩევა, არის ის, რომ დღეს როგორც ოპოზიციამ, ასევე პოზიციამ მხარი ერთხმად დაუჭირა ამ კანონპროექტს, რაც ნამდვილად აღსანიშნავი შეთანხმებაა, - განაცხადა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 21/12/23, 19 10 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# ხელოვნების მუზეუმი 25 წლისაა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*სახასიათო არქიტექტურითა და ხელოვნების მრავალფეროვანი ნიმუშებით შექმნილი ზღაპრული საახალწლო გარემო, ზვიად ბოლქვაძისა და აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის შესრულებული დაუვიწყარი მუსიკის ჰანგები, საინტერესო ისტორიები, ვიდეოკოლაჟი და უამრავი სიურპრიზი - ეს ყველაფერი ხელოვნების მუზეუმში იყო, რომელმაც 19 დეკემბერს დაარსებიდან 25 წლის იუბილე იზეიმა*

„საუკუნის მეოთხედი“ - ასე ერქვა საღამოს, რომელსაც უამრავი ბათუმელი, ჩვენი ქალაქის სტუმარი და ხელოვნების მოყვარულები დაესწრნენ, რომლებიც კიდევ ერთხელ ეზიარნენ ჩვენი ქვეყნის ხელოვნებისა და კულტურის მდიდარ ისტორიას, თვალი გადაავლეს კადრებს და მოისმინეს, თუ რა გზა გამოიარა მუზეუმმა და როგორ მოვიდა დღემდე.

ხელოვნების მუზეუმის მმართველმა თენგო დოლიძემ სიტყვით გამოსვლისას მადლობა გადაუხადა თითოეულ ადამიანს, ვინც ქმნიდა და ქმნის მუზეუმის ყოველდღიურობას. მისი თქმით, 25 წელი დიდებული ისტორიაა, შთამბეჭდავი ამბების უწყვეტი ჯაჭვია და ბედნიერია, რომ აჭარის ხელოვნების მუზეუმის სივრციდან ემსახურება თავის ქვეყანას.

სიტყვით გამომსვლელებმა ხელოვნების მუზეუმის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მათი თქმით, აქ ყოველი სტუმრობა ერთგვარი სულიერი საზრდოს მიღებაა, თითქოს შენც გრძნობ იმ ემოციებს, რასაც უდიდესი ხელოვანები განიცდიდნენ შედევრების შექმნისას. მათ მადლობა გადაუხადეს ხელოვნების მუზეუმის ყოფილ ხელმძღვანელს, მხატვარ ნინო ნიჟარაძესა და აჭარის მუზეუმების გაერთიანების დირექტორ თეონა ზოიძეს, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ცდილობს, აჭარაში არსებული მუზეუმების ცხოვრება ბევრად საინტერესო და მრავალფეროვანი გახადოს, გაზარდოს მისი ცნობადობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

- მინდა, თითოეულ ადამიანს, ვისაც უყვარს ხელოვნება, კულტურა, ვინც ხელოვნების მუზეუმის ერთგული გულშემატკივარია, მივულოცო საიუბილეო თარიღი. ხელოვნების მუზეუმში გამოფენილია როგორც ჩვენი თანამედროვე ქართველი მხატვრების, ასევე კლასიკოსთა ტილოები. ერთი წლის წინ, უცხოელი მხატვრების ნამუშევრებიც დავამატეთ, რასაც კარგი გამოხმაურება და ვიზიტიორთა რაოდენობის გაორმაგება მოჰყვა. ხელოვნების მუზეუმი საგანმანათლებლო კუთხითაც ძალიან აქტიურია. ვთანამშრომლობთ სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, განსაკუთრებით, ხელოვნების უნივერსიტეტთან, საჯარო და კერძო სკოლებთან, რაც იმის გარანტიაა, რომ მომავალი თაობები გაიფართოებენ თვალსაწიერს და მიიღებენ იმ სულიერ საზრდოს, რასაც რეალურად იძლევა მუზეუმი. ხელოვნების მუზეუმის უმთავრესი მისია ექსპონატებზე ზრუნვა, ჩვენი ფონდების ფერწერული ნამუშევრებით გამდიდრებაა. შეიძლება ითქვას, ეს მისია ძალიან კარგად შევასრულეთ. ბოლო წლების განმავლობაში არაერთი ნამუშევრით შეივსო ჩვენი ფონდები, რასაც დროებითი გამოფენების სახით წარვადგენთ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საერთაშორისო მიმართულებით ხელოვნების მუზეუმის როლი. ბევრი უცხოელი მხატვარი ჩამოვიდა ბოლო წლებში და მოაწყო გამოფენა, რამაც სამომავლო თანამშრომლობის ინტერესი გამოიწვია. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აჭარის ხელოვნების მუზეუმში არსებული დავით კაკაბაძის ტილო გაისად, საქართველოს კულტურის დღეებზე, კრაკოვში გამოიფინება. მინდა კიდევ ერთხელ მივულოცო საიუბილეო თარიღი ხელოვნების მუზეუმს, ყველა მუზეუმელს და იმათ, ვისაც უყვარს აქ სტუმრობა. მოდით მუზეუმში და მიიღეთ დაუვიწყარი შთაბეჭდილებები, ხელოვნებას ნამდვილად მოაქვს უდიდესი ენერგია, - აღნიშნა აჭარის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა თეონა ზოიძემ.



აჭარის ხელოვნების მუზეუმში დაარსების დღიდან მუშაობს არტ მეთვალყურე მზია ბოლქვაძე.

- ეს სივრცე ჩემთვის განსაკუთრებულად მშობლიურია. აქ ყოველი დღის გატარება დიდ სიამოვნებას მანიჭებს და თავს ბედნიერად ვგრძნობ. ჩემი ოჯახის თითქმის ყველა წევრი ხელოვანია, შესაბამისად, ხელოვნებას განსაკუთრებული სიყვარულით ვემსახურებით. მუზეუმმა განვითარების ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპები გაიარა და დღეს ის თავის ღირსეულ სიტყვას ამბობს ქართული მუზეუმების ცხოვრებაში, - გვითხრა მზია ბოლქვაძემ.

ხელოვნების მუზეუმს, ყველა მუზეუმელს წარმატებები უსურვა და საიუბილეო თარიღი მიულოცა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

- საუკუნის მეოთხედია, ხელოვნების მუზეუმი ჩვენი ქალაქის, რეგიონისა და შეიძლება ითქვას, ქართული ხელოვნების ერთ-ერთი დასაყრდენი ძალაა, ვინაიდან აქ თავმოყრილია ის შემოქმედება, რომელიც მჭიდრო კავშირშია ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებასთან. ეს ისტორია შექმნეს ადამიანებმა, რომლებმაც დღემდე მოიტანეს ეს ულამაზესი სახელოვნებო კერა და ახლაც აგრძელებენ მასზე ზრუნვას. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ მუზეუმს აქვს შემდგომი წლების, შემდგომი საუკუნის ათვლის პერსპექტივა, - განაცხადა მაია ხაჯიშვილმა.

# სპექტაკლი, რომელიც მეტი სიყვარულისკენ მოგვიწოდებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში სპექტაკლ „გრინჩის“ პრემიერა გაიმართა. რეჟისორ ავთანდილ დიასამიძისთვის ეს თეატრთან თანამშრომლობის პირველი შესაძლებლობაა, თუმცა, როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მისთვის იმდენად საინტერესო აღმოჩნდა თოჯინურ სპექტაკლზე მუშაობა, რომ შეეცდება, საქართველოში არსებულ თოჯინურ თეატრებთან თანამშრომლობა გააგრძელოს*

„გრინჩის“ ისტორია თითქმის ყველა ბავშვმა იცის, სწორედ ამიტომ რეჟისორმა მათ ახალი და ადაპტირებული ვერსია შესთავაზა. მასში, გარდა ადამიანებისა, საგნებიც თავისებურ როლს თამაშობენ და კიდევ უფრო საინტერესოს ხდიან სპექტაკლში წარმოდგენილ მრავალფეროვან სამყაროს. შეიძლება ითქვას, სპექტაკლი ქართულ რეალობასაცაა მორგებული და მასში მშობლებისა და შვილების ურთიერთობაზეა გამახვილებული ყურადღება. სპეციალურად ამ სპექტაკლისთვის დაწერილი ორიგინალური მუსიკა ამაღლებულ საახალწლო განწყობას ქმნის.

როგორც ვიცით, სპექტაკლი მოგვითხრობს, როგორ ცდილობს ერთი ადამიანი, სახელად გრინჩი, შობის დღესასწაულის მოპარვას, რადგან მიაჩნია, რომ სულაც არ არის საჭირო ასეთი ხმაურიანი და პომპეზური მზადება. ამ განზრახვით ქალაქში წასული, მწვანე ბეწვით დაფარული გრინჩი პატარა გოგონა სინდის გაიცნობს, რომელიც სითბოსა და სიყვარულის გარდა, აგრძნობინებს, რომ შობის დღესასწაულზე საჩუქრებთან, სადღესასწაულო მორთულობასა და ტკბილეულთან ერთად, რაღაც უფრო დიდი და ღირებული ხდება. ვხედავთ, თანდათან როგორ გარდაიქმნება ადამიანებისგან ბოროტად შერაცხული, გარიყული გრინჩი კეთილ ადამიანად, როდესაც იგრძნობს, რომ მარტო არ არის და თუნდაც ერთ ადამიანს ესმის მისი. სპექტაკლი პატარებსაც და უფროსებსაც მოგვიწოდებს, განსხვავებულ ადამიანებს ვაგრძნობინოთ, რომ პატივს ვცემთ მათ ინდივიდუალიზმს და მეგობრობის ხელი გავუწოდოთ.

- პირველ რიგში, ბედნიერი ვარ იმ ემოციებით, რაც მაყურებლისგან ვიგრძენი. ეს ჩემი პირველი თოჯინური სპექტაკლია და ვფიქრობ, ახალ და მრავალფეროვან სამყაროში შევაბიჯე ფეხი. გარედან თითქოს მარტივად გამოიყურება ყველაფერი, მაგრამ ამის მიღმა უდიდესი შრომა დევს. თოჯინური სპექტაკლი განსაკუთრებულ ტექნიკურ უნარებს მოითხოვს მსახიობისგან. თეატრთან, პროფესიონალ მსახიობებთან თანამშრომლობა დიდი გამოცდილება იყო ჩემთვის და მადლობა მათ ამ შესაძლებლობისთვის. ვეცადე,



ამბავი გრინჩზე, რომელსაც ყველა იცნობს, ქართულ რეალობასთან დამეახლოვებინა. გრინჩი ანტიგმირია, ადამიანი, რომელიც ყველასგან გარიყულია, თითქოს ბულინგის მსხვერპლიცაა. ის თავს გვაჩვენებს ბოროტ ადამიანად, თუმცა ამ ყველაფრის უკან იმალება სითბოს, ოჯახის, ახალი წლის სხვებთან ერთად გატარების მოთხოვნილება... ჩვენ - ყველა ერთად უნდა დავფიქრდეთ ამაზე და გავითვალისწინოთ ბევრი რამ ადამიანებთან ურთიერთობების დროს. მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო თითოეულ მაყურებელს, ყველაზე ლაღებსა და გულწრფელებს - ბავშვებს. საოცარი პასუხისმგებლობა მქონდა ყველას წინაშე, რადგან სპექტაკლი დავდგი იმ თეატრში, სადაც ჩემი ბაბუა, რეჟისორი ავთანდილ დიასამიძე მოღვაწეობდა. ეს იყო ახალი სამყაროს აღმოჩენა ჩემთვის, რომელში მოგზაურობაც ძალიან მომეწონა და ვფიქრობ, კიდევ ერთი თოჯინური სპექტაკლი დავდგა უახლოეს მომავალში, - აღნიშნა ავთანდილ დიასამიძემ.

5 წლის საბა ბოლქვაძემ გვითხრა, რომ სპექტაკლი ძალიან მოეწონა, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ გრინჩმა ველარ შეძლო შობის დღესასწაულის მოპარვა.

- ძალიან მომეწონა სპექტაკლი, ფერადი იყო და საინტერესო. მინდა, რომ ახალ წელს არავინ იყოს მარტო, ყველას ჰყავდეს მეგობარი და ბედნიერად გაატაროს დღესასწაული. თეატრში მეგობრებთან ერთად მოვედი, სულ დავდივართ და შემდეგ ერთმანეთს ვუყვებით, რა მოგვეწონა, - გვითხრა საბამ.

თეატრს, რეჟისორს წარმატებული სპექტაკლი მიულოცა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ და აღნიშნა, რომ მათი გუნდი ყოველთვის შეეცდება, ფერად და ჯადოსნურ სამყაროში ამოგზაუროს მაყურებელი.

- სპექტაკლი „გრინჩი“ ძალიან საინტერესო გამოვიდა. წარმატებას ვულოცავ რეჟისორს, მსახიობებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა მის წარმატებაში. ეს არის ძალიან მუსიკალური, სანახაობრივი, ანიმაციური და თოჯინური ხელოვნების ნაზავი. რაც შეეხება 87-ე თეატრალურ სეზონს, ვგეგმავთ ნიკოლოზ საბაშვილთან, საბა ასლამაზაშვილთან და კიდევ ბევრ საინტერესო რეჟისორთან თანამშრომლობას. ჩვენს ერთგულ მაყურებელს წინ არაერთი სიურპრიზი ელოდება, - გვითხრა ირაკლი კიკვაძემ.

სპექტაკლ „გრინჩის“ ნახვა მაყურებელს ყოველდღე, 29 დეკემბრის ჩათვლით შეუძლია.

# დიდი შოუ ყინულზე – პატარებისთვის

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ბათუმის სპორტულმა ცენტრმა (ხელმძღვანელი - უჩა აბრამიშვილი) მერიის მხარდაჭერით, პატარებს დიდი ზეიმი მოუწყო სრულად განახლებული პროგრამით. საახალწლო შოუს დაწყებამდე ორი საათით ადრე გაიმართა საშობაო ვაჭრობა, სადაც სტუმრები ბათუმში დამზადებულ პროდუქციას გაეცნენ*

ყინულის მოედანი ბათუმში პირველად 2007 წელს გაიხსნა. თავიდან სანაპიროზე არასტანდარტული ყინულის მოედანი იდგა, შემდეგ ახალ ბულვარში სტანდარტული გაკეთდა, 2012 წლიდან ასათიანის ქუჩაზე გააგრძელეს მუშაობა. მალე მოციგურავეები სრულიად ახალ შენობაში გადავლენ (ყინულის მოედნის გვერდით შენობა უკვე აგებულია).

რაც შეეხება საახალწლო შოუს, იგი ყინულის სასახლეში სრული ანშლაგით ჩატარდა. მწვრთნელებმა, ორგანიზატორებმა, თავად მოციგურავეებმა ბევრი იშრომეს, საღამო სანახაობრივი და საინტერესო რომ ყოფილიყო.

ტრადიციულ საახალწლო შოუში 400-მდე ბავშვი მონაწილეობდა. ახალი პროგრამით 13 ნომერი წარმოადგინეს. ბლოგერი ემილია ორი ნომრით ჰყავდათ მოწვეული. პირველი ყინულზე სინქრონული გუნდი გამოვიდა (მწვრთნელი - ლია ნაკაიძე), რომელმაც „აჭარული“ ძალიან ლამაზად შეასრულა (ქორეოგრაფი - სანდრო მესხი). შოუზე იმყოფებოდნენ არაერთი ზღაპრის გმირები - მერი პოპინსი, ბურატინო, შოკოლადო, რა თქმა უნდა, სანტა კლაუსიც.

როგორც ლია ნაკაიძემ გვითხრა, მათი სურვილია, მომავალში ბათუმელებს ყინულზე სხვა ეროვნული ცეკვებიც შესთავაზონ.

აჭარის მოციგურავეთა ნაკრები გუნდის წევრები ძალიან ლამაზი ნომრებით წარსდგნენ. როგორც ყოველთვის, შთამბეჭდავად გამოვიდნენ ნორჩი ფიგურისტები. ზოგიერთისთვის ეს პირველი საჯარო გამოსვლა იყო. მათ ექვსი ნომერი შეასრულეს.

ბოლოს ყინულზე ასი მოციგურავე ერთად გამოვიდა, რომელთა შორის პატარა ჰოკეისტებიც იყვნენ. შოუ აჭარის ტელევიზიის წამყვან დემეტრე ზოიძეს მიჰყავდა.

ბათუმელი მოციგურავეები ხშირად წარმატებით გამოდიან საერთაშორისო ასპარეზობებზე და სხვადასხვა საპრიზო ადგილსაც ისაკუთრებენ. წელს ოთხ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ (ერთეულთა თანრიგში) და პრიზიორებიც გახდნენ.

დღეს აჭარის ნაკრების შვიდი წევრი თბილისში გაემგზავრა, სადაც საქართველოს ჩემპიონატზე იასპარეზებს. ჩვენს მოციგურავეებს ხუთი ძირითადი პროფესიონალი მწვრთნელი ავარჯიშებს: ლია ნაკაიძე, სესილი ბერძენიშვილი, ლელა ჩოფიკაშვილი, სანდრო მესხი (მწვრთნელ-ქორეოგრაფი), ვანო ჯანჯალაშვილი (ჰოკეი), ასევე - ოთხი ინსტრუქტორი.



2025 წელს საქართველოში ოლიმპიური ახალგაზრდული ფესტივალი ტარდება. ამასთან დაკავშირებით, თბილისსა და ბაკურიანში დიდი სტანდარტული მოედნები შენდება. სასიხარულოა, რომ ფესტივალში ჩვენი მოციგურავეებიც მიიღებენ მონაწილეობას.